



ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი

საქაიპი

WIPPO  
ვისმო-ს ვიერ  
ადმინისტრირებული

საერთაშორისო  
კონვენციები, ხელშეკრულებები  
და შეთანხმებები





ისმო-ს მიერ  
აღმინისტრირებული

**საერთაშორისო  
კონვენციები,  
ხელშეკრულებები  
და შეთანხმებები**

თბილისი  
2009

© სავაჭრო, 2009

ISBN 978-9941-0-1342-3

# სარჩევი

## ნაწილი I

ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის დამფუძნებელი კონვენცია (1967 წ.).....	7
---	---

## ნაწილი II

### სამრეწველო საკუთრება

ბუღალტერის ხელშეკრულება საკატენტო პროცედურის მიზნებისათვის მიკროორგანიზმების დეკლარაციის საერთაშორისო აღიარების შესახებ (1977 წ.).....	11
ვენის შეთანხმება ნიშანთა გამოსახულებითი ელემენტების საერთაშორისო კლასიფიკაციის დანახების შესახებ (1973 წ.).....	14
ლისაბონის შეთანხმება ადგილწარმოშობის დასახელებების დაცვისა და მათი საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ (1958 წ.).....	16
ლოკარნოს შეთანხმება სამრეწველო ნიშნების საერთაშორისო კლასიფიკაციის დაარსების შესახებ (1968 წ.).....	18
მადრიდის შეთანხმება ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ (1891 წ.) და ამ შეთანხმებასთან არსებული ოქმი (1989 წ.).....	20
მადრიდის შეთანხმება საქონელზე ყალბი ან შეხდომადი შეიქვანი წარმოშობის აღნიშვნების აღკვეთის შესახებ (1891 წ.).....	26
ნაირობის ხელშეკრულება ოლიმპიური სიბრძოლების დაცვის შესახებ (1981 წ.) .....	28
ნისის შეთანხმება ნიშნების რეგისტრაციისათვის განკუთვნილი საქონლისა და მომსახურების საერთაშორისო კლასიფიკაციის შესახებ (1957 წ.).....	29
პარიზის კონვენცია სამრეწველო საკუთრების დაცვის შესახებ (1883 წ.).....	31
საკატენტო კანონის შესახებ ხელშეკრულება (2000 წ.).....	38
საკატენტო კოოპერაციის ხელშეკრულება PCT (1970 წ.).....	44

სასაქონლო ნიშნების შესახებ ხელშეკრულება TLT (1994 წ.).....	48
სინგაპურის ხელშეკრულება სასაქონლო ნიშნების კანონის შესახებ (2006 წ.).....	51
სტრასბურგის შეთანხმება საერთაშორისო სპატიენტო ქლასიფიკაციის შესახებ (1971 წ.).....	55
ჰააგის შეთანხმება სამრეწველო ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ (1925 წ.).....	57

### **ნაწილი III**

#### **საავტორო და მომიჯნავე უფლებები**

ბერნის კონვენცია ლიტერატურული და მხატვრული მწარმოებების დაცვის შესახებ (1886 წ.).....	61
ბრიუსელის კონვენცია თანამგზავრით გადაცემული პროგრამის მატარებელი სიგნალების გავრცელების შესახებ (1974 წ.).....	66
ისმონ-ს ხელშეკრულება საავტორო უფლებების შესახებ (1996 წ.).....	67
ისმონ-ს ხელშეკრულება შესრულებებისა და ფონოგრამების შესახებ (1996 წ.).....	70
ჟენევის კონვენცია ფონოგრამების უნებართვო გამრავლებისა და ფონოგრამების მწარმოებლების დაცვის შესახებ (1971 წ.).....	75
რომის კონვენცია შემსრულებელთა, ფონოგრამების მწარმოებელთა და სამაუწყებლო ორგანიზაციებთან უფლებების დაცვის შესახებ (1961 წ.).....	77

## წინასიტყვაობა

ინტელექტუალური საკუთრების დაცვის საერთაშორისო რეგულირებას საფუძველი ჩაეყარა XIX საუკუნის ბოლოს, როცა ხელმოწერილ იქნა ორი ფუნდამენტური ხასიათის დოკუმენტი – სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენცია (1883წ.) და ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის ბერნის კონვენცია (1886წ.). ამ კონვენციებში პირველად მოხდა ეროვნული რეჟიმის უცხოელებზე გავრცელებისა და დაცვის მინიმალური სტანდარტების დადგენის უზრუნველყოფა.

ინტელექტუალური საკუთრების საერთაშორისო სამართლის შემდგომი განვითარება დაკავშირებული იყო დაცვის უფრო სრულყოფილი სტანდარტების დამკვიდრებასთან, ქვეყნის გარეთ უფლებათა მოპოვების ეფექტურ პროცედურათა იმპლემენტაციასთან, ცალკეული ობიექტების დამცავ სპეციალურ შეთანხმებათა მიღებასთან, საერთაშორისო საინფორმაციო-საძიებო ინსტრუმენტების ფორმირებასთან და სხვ. ბოლო პერიოდში საერთაშორისო სამართლის ნორმების განვითარებას ძირითადად განსაზღვრავდა ციფრულ ტექნოლოგიებთან დაკავშირებული გამოწვევების სამართლებრივი დარეგულირების პროცესი.

ამჟამად ინტელექტუალური საკუთრების სფეროში მოქმედ 23 საერთაშორისო ხელშეკრულებიდან 22-ს ადმინისტრირებას უწევს ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია (OISPO). ისინი თემატიკის მიხედვით ორ ჯგუფად იყოფა – სამრეწველო საკუთრებისა და საავტორო და მომიჯნავე უფლებების სფეროს

მარეგულირებელ ხელშეკრულებებად. დანიშნულების მიხედვით კი გამოყოფენ ხელშეკრულებების სამ ძირითად ტიპს: ხელშეკრულებებს, რომლებიც განსაზღვრავენ დაცვის საერთაშორისო სტანდარტებს; ხელშეკრულებებს ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ; ხელშეკრულებებს საერთაშორისო კლასიფიკაციების შესახებ. საქართველო ამჟამად ოსმ(ო)-ს მიერ ადმინისტრირებული 12 საერთაშორისო ხელშეკრულებისა და კონვენციის მონაწილეა.

წინამდებარე გამოცემაში თავმოყრილია ოსმ(ო)-ს მიერ ადმინისტრირებული ყველა საერთაშორისო შეთანხმების, ხელშეკრულებისა და კონვენციის ანოტაციები, რომლებიც დაინტერესებულ პირებს შეუქმნის საერთო წარმოდგენას ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების საერთაშორისო დაცვის ძირითადი პრინციპებისა და დებულებების შესახებ.

ინტელექტუალური საკუთრების  
ეროვნული ცენტრის “საქპატენტის”  
გენერალური დირექტორი

დ. გაბუნია

## ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის ორგანიზაციის დაფუძნებელი კონვენცია (1967 წ.)

ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია (ოსმ(ო)) არის სამთავრობათაშორისო ორგანიზაცია, რომელიც 1974 წელს გახდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სისტემის ერთ-ერთი სპეციალიზებული სააგენტო.

ოსმ(ო)-ს წარმოშობა უკავშირდება 1883 და 1886 წლებს, როდესაც, შესაბამისად, მიღებულ იქნა სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის და ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებთა დაცვის ბერნის კონვენციები. ორივე კონვენციის თანახმად შეიქმნა “საერთაშორისო ბიუროები”, რომლებიც 1893 წელს გაერთიანდა, ხოლო 1970 წელს ჩანაცვლებულ იქნა ოსმ(ო)-ს მიერ ოსმ(ო)-ს კონვენციის საფუძველზე (ხელმოწერილია 1967 წლის 14 ივნისს, ძალაში შევიდა 1970 წელს, შესწორდა 1979 წელს).

ოსმ(ო)-ს მიზნებია: 1. ხელი შეუწყოს ინტელექტუალური საკუთრების დაცვას მთელ მსოფლიოში, 2. უზრუნველყოს ადმინისტრაციული თანამშრომლობა ინტელექტუალური საკუთრების დაცვის კავშირებს შორის, რომლებიც დაარსებულია ოსმ(ო)-ს მიერ ადმინისტრირებული შეთანხმებების საფუძველზე.

ამ მიზნების მისაღწევად კავშირების ადმინისტრირების გარდა ოსმ(ო) დაკავებულია სხვადასხვა საქმიანობით, რომელთა შორის ძირითადია:

- კანონშემოქმედება, რაც გულისხმობს ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლებების დაცვას და მის განხორციელებასთან დაკავშირებული ნორმებისა და სტანდარტების დადგენას;
- პროგრამული საქმიანობა, რაც გულისხმობს ინტელექტუალური საკუთრების სფეროში სახელმწიფოებისათვის იურიდიულ-ტექნიკური დახმარების გაწევას;

- საერთაშორისო კლასიფიკაციასა და სტანდარტიზაციასთან დაკავშირებული საქმიანობა, რომელიც მოიცავს სამრეწველო საკუთრების უწყებათა თანამშრომლობას პატენტების, სასაქონლო ნიშნებისა და სამრეწველო ნიშნების დოკუმენტაციის უნიფიცირებასთან დაკავშირებით;
- სარეგისტრაციო საქმიანობა, რომელიცაც მოიცავს გამოგონებაზე საპატენტო განაცხადებთან და სასაქონლო ნიშნებისა და სამრეწველო ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციასთან დაკავშირებულ მომსახურებას. ისმ(ო)-ს კონვენცია აარსებს სამ ძირითად ორგანოს: ისმ(ო)-ს გენერალურ ასამბლეას, ისმ(ო)-ს კონფერენციასა და ისმ(ო)-ს საკოორდინაციო კომიტეტს. ისმ(ო)-ს გენერალურ ასამბლეას შეადგენენ ისმ(ო)-ს წევრი სახელმწიფოები, რომლებიც ასევე, არიან ინტელექტუალური საკუთრების დაცვის რომელიმე სპეციალური კავშირის წევრებიც. მისი მთავარი ფუნქციებია, *inter alia*, საკოორდინაციო კომიტეტის წარდგინებით გენერალური დირექტორის დანიშვნა, გენერალური დირექტორის ანგარიშების და საკოორდინაციო კომიტეტის ანგარიშებისა და საქმიანობის განხილვა და შეფასება, კავშირების საერთო ორწლიანი ბიუჯეტისა და ორგანიზაციის საფინანსო ნორმატივების მიღება.

ისმ(ო)-ს კონფერენციას შეადგენს ისმ(ო)-ს კონვენციის მხარეები. იგი წარმოადგენს, *inter alia*, კომპეტენტურ ორგანოს, რომელიც იღებს შესწორებებს კონვენციაში სამართლებრივ-ტექნიკურ დახმარებასთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე და ადგენს ასეთი დახმარების ორწლიან პროგრამას. მას, აგრეთვე, აქვს ინტელექტუალური საკუთრების სფეროს ძირითად ინტერესებთან დაკავშირებული საკითხების განხილვისა და ასეთი საკითხებისათვის სათანადო რეკომენდაციების შემუშავების კომპეტენცია.

ისმ(ო)-ს საკოორდინაციო კომიტეტს შეადგენენ პარიზის კავშირის აღმასრულებელი კომიტეტიდან და ბერნის კავშირის

აღმასრულებელი კომიტეტიდან არჩეული წევრები. მისი მთავარი ფუნქციაა მისცეს რჩევები კავშირების ორგანოებს, გენერალურ ასამბლეას, კონფერენციასა და გენერალურ დირექტორს ამ ორგანოებისათვის საინტერესო ადმინისტრაციულ და ფინანსურ საკითხებთან დაკავშირებით. იგი ამზადებს, აგრეთვე, გენერალური ასამბლეის დღის წესრიგისა და კონფერენციის დღის წესრიგის, პროგრამისა და ბიუჯეტის პროექტებს. საკოორდინაციო კომიტეტი, საჭიროების შემთხვევაში, გენერალურ ასამბლეას წარუდგენს კანდიდატურას გენერალური დირექტორის პოსტზე ასარჩევად.

ოსმ(ო)-ს რეგულარული ბიუჯეტის შემოსავლების ძირითად წყაროს შეადგენს კერძო პირების მიერ საერთაშორისო რეესტრაციასთან დაკავშირებული მომსახურებისათვის გადახდილი საფასურები და წევრი სახელმწიფოების შენატანები. საწევრო შენატანის განსაზღვრის მიზნით, ყოველი სახელმწიფო მიკუთვნებულია 14 კლასიდან ერთ-ერთს. ყველაზე მაღალ გადასახადს შეესაბამება კლასი 1, რომელიც გულისხმობს საწევროს 25 შესატანი ერთეულის გადახდას მაშინ, როდესაც ყველაზე მცირე გადასახადს შეესაბამება კლასი *Ster*, რომელიც გულისხმობს შესატანი ერთეულის 1/32-ის გადახდას. ყოველი სახელმწიფოს საწევროს სიდიდე ერთნაირია მიუხედავად იმისა, სახელმწიფო მხოლოდ ოსმ(ო)-ს წევრია, ერთი ან მეტი კავშირის წევრი, თუ ოსმ(ო)-ს და ერთი ან მეტი კავშირის წევრი ერთდროულად.

ორგანიზაციის სამდივნოს ეწოდება საერთაშორისო ბიურო. საერთაშორისო ბიუროს აღმასრულებელი თავმჯდომარე არის ოსმ(ო)-ს მიერ არჩეული გენერალური დირექტორი, რომელსაც ჰყავს ერთი ან მეტი გენერალური დირექტორის მოადგილე.

ორგანიზაციის შტაბბინა მდებარეობს ჟენევაში (შვეიცარია). ორგანიზაციას ფილიალები აქვს ბრიუსელში (ბელგია), სინგაპურში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში (ნიუ-იორკი) და ვაშინგტონში (აშშ).

ორგანიზაცია სარგებლობს პრივილეგიებითა და იმუნიტეტით, რომელიც ენიჭება საერთაშორისო ორგანიზაციებსა და მათ თანამშრომლებს მიზნების განხორციელებისა და ფუნქციონირების ხელშეწყობის მიზნით, და შტაბბინასთან დაკავშირებით დადებული აქვს ხელშეკრულება შვეიცარიის კონფედერაციასთან.

ოსმ(ო)-ში გაწვევრიანება შეუძლია ნებისმიერ სახელმწიფოს, რომელიც ინტელექტუალური საკუთრების დაცვის რომელიმე სპეციალური კავშირის წევრია ან აკმაყოფილებს შემდეგ პირობათაგან ერთ-ერთს: (i) იგი არის გაერთიანებული ერების, გაერთიანებულ ერებთან ურთიერთობაში მყოფი რაიმე სპეციალიზებული სააგენტოს ან ატომური ენერჯის საერთაშორისო აქტის მონაწილე; (ii) იგი არის საერთაშორისო სასამართლოს აქტის მონაწილე; ან (iii) იგი ოსმ(ო)-ს გენერალური ასამბლეის მიერ მიწვეულია კონვენციაში გასაწვევრიანებლად. ოსმ(ო)-ში გაწვევრიანება არ წარმოქმნის ვალდებულებებს ოსმ(ო)-ს მიერ ადმინისტრირებული შეთანხმებების მიმართ. ოსმ(ო)-ში გაწვევრიანება ხორციელდება ოსმ(ო)-ს გენერალურ დირექტორთან კონვენციასთან მიერთების სამართლებრივი აქტის დეკონირებით. საქართველო ოსმ(ო)-ს წევრია 1991 წლის 25 დეკემბრიდან.

# **გუდააგუტის ხელშეკრულება საპატენტო პროცედურის მიზნებისათვის მიკროორგანიზმების დაწინაურების საერთაშორისო აღიარების შესახებ (1977 წ.)**

ხელშეკრულების მთავარი დამახასიათებელი ნიშანია ის, რომ მხარე სახელმწიფოებმა, რომლებიც უშვებენ მიკროორგანიზმების დეპონირებას ან მოითხოვენ მის განხორციელებას საპატენტო პროცედურისათვის, უნდა აღიარონ ამ მიზნით მიკროორგანიზმის დეპონირება ნებისმიერი “საერთაშორისო დეპონირების ორგანოს” მიერ, მიუხედავად იმისა, თუ სად მდებარეობს ეს ორგანო, მოცემული ქვეყნის ტერიტორიაზე თუ მის ფარგლებს გარეთ.

პატენტის გაცემისათვის მოითხოვება გამოგონების არსის გამჟღავნება, რაც, ჩვეულებრივ, წერილობითი აღწერით ხდება. თუ გამოგონება ეხება მიკროორგანიზმს ან მის გამოყენებას, გამოგონების არსის გამჟღავნება წერილობით შეუძლებელია, იგი მხოლოდ დეპონირების გზითაა შესაძლებელი მიკროორგანიზმის ნიმუშებისათვის განკუთვნილ სპეციალიზებულ დაწესებულებაში. პრაქტიკაში, ტერმინი “მიკროორგანიზმი” განიმარტება ფართო გაგებით და მოიცავს ბიოლოგიურ მასალას, რომლის დეპონირებაც საჭიროა გამოგონების არსის გამოსამჟღავნებლად, განსაკუთრებით იმ გამოგონებებთან დაკავშირებით, რომლებიც ეხება კვებისა და ფარმაცევტიკის დარგებს.

იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული მიკროორგანიზმის ნიმუშების ცალ-ცალკე დეპონირება ყველა იმ ქვეყანაში, რომლებშიც მოითხოვება გამოგონების დაცვა, ხელშეკრულების შესაბამისად, საკმარისია მიკროორგანიზმის დეპონირება “საერთაშორისო დეპონირების ორგანოში”, საპატენტო პროცედურისათვის ხელშეკრულების ყველა მხარე სახელმწიფოს ეროვნულ საპატენტო უწყებასა და რეგიონალურ

საპატენტო უწყებაში (თუ ასეთი რეგიონალური უწყება დეკლარაციის გზით განაცხადებს, რომ ცნობს ხელშეკრულებას). ასეთი დეკლარაცია გაკეთებული აქვს ევროპის საპატენტო უწყებას, ევრაზიის საპატენტო უწყებასა და ინტელექტუალური საკუთრების აფრიკის რეგიონალურ ორგანიზაციას.

ის, რასაც ხელშეკრულებით “საერთაშორისო დეპონირების ორგანო” ეწოდება, არის სამეცნიერო დაწესებულება – ჩვეულებრივი “კულტურის კოლექცია” – რომელსაც შეუძლია მიკროორგანიზმების შენახვა. ასეთი დაწესებულება “საერთაშორისო დეპონირების უფლებამოსილი ორგანოს” სტატუსს იძენს ხელშეკრულების იმ მხარე სახელმწიფოს მიერ, რომლის ტერიტორიაზეც მდებარეობს აღნიშნული დაწესებულება, (ისმ<sup>(1)</sup>)-ს გენერალური მდიენისათვის საგარანტიო საბუთის წარდგენით, იმის შესახებ, რომ ეს დაწესებულება აკმაყოფილებს და მომავალშიც დააკმაყოფილებს ხელშეკრულებით განსაზღვრულ შესაბამის კონკრეტულ მოთხოვნებს.

2009 წლის 15 იანვრისათვის არსებობდა 37 ასეთი ორგანო: შვიდი – გაერთიანებულ სამეფოში, სამ-სამი – რუსეთის ფედერაციასა და კორეის რესპუბლიკაში, ორ-ორი – ჩინეთში, იტალიაში, იაპონიაში, პოლონეთში, ესპანეთსა და აშშ-ში, ხოლო თითო – ავსტრალიაში, ბელგიაში, ბულგარეთში, კანადაში, ჩეხეთის რესპუბლიკაში, საფრანგეთში, გერმანიაში, უნგრეთში, ლატვიაში, ინდოეთში, ნიდერლანდებსა და სლოვაკეთში.

აღნიშნული ხელშეკრულებით მისი მხარე სახელმწიფოების საპატენტო სისტემა უფრო მიმზიდველი ხდება, ვინაიდან ის, უპირველეს ყოვლისა, იმ დეპონირებისათვის არის ხელსაყრელი, რომელიც საპატენტო განაცხადს რამდენიმე სახელმწიფოში წარადგენს. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროცედურებით მიკროორგანიზმის დეპონირება თანხის დაზოგვისა და საიმედოობის ხარისხის გაზრდის საშუალებას იძლევა. თანხის დაზოგვა განპირობებულია იმით, რომ საკმარისია მიკროორგანიზმის ერთხელ

დეპონირება დეპონირების ერთ ორგანოში, ნაცვლად ხელშეკრულების მხარე სხვადასხვა ქვეყანაში დეპონირებისა. საიმედოობის ხარისხის გაზრდა კი განპირობებულია იმით, რომ ხელშეკრულება აწესებს დეპონირების, მიკროორგანიზმების ნიმუშების აღიარებისა და წარდგენის ერთგვაროვან სისტემას.

ხელშეკრულება არ ითვალისწინებს ბიუჯეტის დადგენას, თუმცა ქმნის კავშირს და ასამბლევას, რომლის წევრებიც არიან ამავე ხელშეკრულების მხარე ქვეყნები. ასამბლეის მთავარი ამოცანაა ხელშეკრულების ქვემდებარე ინსტრუქციის შესწორება. სახელმწიფოებს არ მოეთხოვება OSMO-ს საერთაშორისო ბიუროში თანხის შეტანა ბუდაპეშტის გაერთიანებაში წევრობის ან “საერთაშორისო დეპონირების ორგანოს” დაფუძნებისათვის.

ბუდაპეშტის ხელშეკრულება დაიდო 1977 წელს (სრული ტექსტი იხ. ვებგვერდზე: [www.wipo.int/treaties](http://www.wipo.int/treaties)).

ხელშეკრულება ღიაა სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენციის (1883 წ.) მხარე სახელმწიფოებისათვის.

რატიფიკაციის ან მიერთების სამართლებრივი აქტები დეპონირებისათვის წარედგინება OSMO-ს გენერალურ დირექტორს.

2009 წლის 15 იანვრისათვის ბუდაპეშტის ხელშეკრულება 72 მხარე სახელმწიფოს აერთიანებდა.

საქართველო ხელშეკრულებას მიუერთდა 2005 წლის 30 სექტემბერს.

# ვენის შეთანხმება

## ნიჰანთა გაქოსახულაბითი ელემენტების საერთაშორისო კლასიფიკაციის დანახვის შესახებ (1973 წ.)

ვენის შეთანხმება ადგენს იმ სასაქონლო ნიშნების კლასიფიკაციას, რომლებიც გამოსახულებითი ელემენტებისაგან შედგება ან შეიცავს მათ. შეთანხმების მონაწილე სახელმწიფოების კომპუტენტური უწყებები ვალდებული არიან, ნიშნების რეგისტრაციისა და მოქმედების ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებულ ოფიციალურ დოკუმენტებსა და პუბლიკაციებში მიუთითონ იმ კატეგორიების, განყოფილებებისა და სექციების შესაბამისი სიმბოლოები, რომლებშიც ეს ნიშნებია კლასიფიცირებული.

შეთანხმების მიერ დაფუძნებულ ექსპერტთა საბჭოს, რომელშიც წარმოდგენილია შეთანხმების ყველა მონაწილე სახელმწიფო, ევალება კლასიფიკაციის პერიოდული გადასინჯვა. კლასიფიკაციის ახლანდელი მეექვსე რედაქცია ძალაშია 2008 წლის 1 იანვრიდან.

კლასიფიკაცია შეიცავს 29 კატეგორიას, 144 განყოფილებას, 1887 სექციას, რომლებშიც ნიშნების გამოსახულებითი ელემენტებია კლასიფიცირებული.

კლასიფიკაციას იყენებს არანაკლებ 30 ქვეყნის სამრეწველო საკუთრების უწყება და (ისმ<sup>(1)</sup>)-ს საერთაშორისო ბიურო, აფრიკის ინტელექტუალური საკუთრების ორგანიზაცია (OAPI), ბენელუქსის სასაქონლო ნიშნების უწყება (BOIP) და შიდა ბაზრის ჰარმონიზაციის უწყება (სასაქონლო ნიშნები და სამრეწველო ნიშნები) (OHIM).

ვენის შეთანხმებით შექმნილია კავშირი, რომელსაც გააჩნია ასამბლეა. კავშირის ყოველი წევრი სახელმწიფო ასამბლეის წევრია.

ასამბლეის უმნიშვნელოვანესი ამოცანებიდან ერთ-ერთია კავშირის ორწლიანი პროგრამისა და ბიუჯეტის მიღება.

1973 წელს დადებული ვენის შეთანხმება შესწორდა 1985 წელს (სრული ტექსტი იხ. ვებგვერდზე: [www.wipo.int/treaties](http://www.wipo.int/treaties))..

შეთანხმება ღიაა სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენციის (1883წ.) წევრი სახელმწიფოებისათვის.

რატიფიკაციის ან მიერთების სამართლებრივი აქტები დეპონირებისათვის წარედგინება OSMO-ს გენერალურ დირექტორს.

2009 წლის 15 იანვრისათვის ვენის შეთანხმება 25 მონაწილე მხარეს აერთიანებდა.

## **ლისაბონის შეთანხმება**

### **ადგილწარმოშობის დასახელებების დაცვისა და**

### **მათი საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ**

### **(1958 წ.)**

შეთანხმების მიზანია უზრუნველყოს ადგილწარმოშობის დასახელებების დაცვა, ანუ დაცვა ქვეყნის, რეგიონის ან ადგილის გეოგრაფიული სახელისა, რომელიც გამოიყენება იქ წარმოშობილი იმ პროდუქციის მოსანიშნად, რომლის ხარისხი და მახასიათებლები მთლიანად ან არსებითად განპირობებულია გეოგრაფიული გარემოთი, ბუნებრივი და ადამიანის ფაქტორების ჩათვლით. ასეთი სახელები რეგისტრირდება (ისმ(რ)-ს საერთაშორისო ბიუროს მიერ ეწევაში შეთანხმების მონაწილე დაინტერესებულ სახელმწიფოთა უფლებამოსილი ორგანოების მოთხოვნის საფუძველზე. საერთაშორისო ბიურო რეგისტრაციის შესახებ შეტყობინებას უგზავნის ხელშეკრულების მონაწილე დანარჩენ სახელმწიფოებს. ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოს შეუძლია შეტყობინების მიღებიდან ერთი წლის ვადაში განაცხადოს, რომ იგი ვერ უზრუნველყოფს რეგისტრირებული ადგილწარმოშობის დასახელების დაცვას. ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოში რეგისტრირებული ადგილწარმოშობისათვის დაცვის მინიჭების შემდეგ დასახელება არ შეიძლება გამოცხადდეს გვარეობითად გარდაქმნილად, ვიდრე მისი დაცვა გრძელდება წარმოშობის ქვეყანაში.

ლისაბონის შეთანხმებით შეიქმნა კავშირი. კავშირს გააჩნია ასამბლეა. ასამბლეის წევრად ითვლება კავშირის წევრი ყოველი სახელმწიფო, რომელიც მიუერთდა სტოკჰოლმის აქტის

ადმინისტრაციულ და ფინალურ მუხლებს მანც.

ლისაბონის შეთანხმება დაიდო 1958 წელს, გადაისინჯა 1967 წელს სტოკჰოლმში და შესწორდა 1979 წელს.

შეთანხმება ღიაა სამრეწველო საკუთრების დაცვის შესახებ პარიზის კონვენციის (1883 წ.) წევრი სახელმწიფოებისათვის (სრული ტექსტი იხ. ვებგვერდზე: [www.wipo.int/treaties](http://www.wipo.int/treaties)).

რატოფიკაციის ან მიერთების სამართლებრივი აქტები დეპონირებისათვის წარედგინება OSM<sup>(1)</sup>-ს გენერალურ დირექტორს.

2009 წლის 15 იანვრისათვის ლისაბონის შეთანხმება 26 მონაწილე სახელმწიფოს აერთიანებდა.

საქართველო შეთანხმებას მიუერთდა 2004 წლის 23 სექტემბერს.

# ლოკარნოს შეთანხმება სამრეწველო ნიმუშების სერტიფიკაციის კლასიფიკაციის დაარსების შესახებ (1968 წ.)

შეთანხმება აწესებს სამრეწველო ნიმუშების კლასიფიკაციას. შეთანხმების მონაწილე სახელმწიფოების უფლებამოსილმა უწყებებმა ოფიციალურ დოკუმენტებში, რომლებიც სამრეწველო ნიმუშების წარდგენას ან რეგისტრაციას ეხება, უნდა მიუთითონ კლასიფიკაციის სათანადო სიმბოლოები. აღნიშნული სიმბოლოები უნდა იყოს იმავე მასალებში, რომლებსაც გამოსცემს უწყება დეპოზიტსა და რეგისტრაციასთან დაკავშირებით.

კლასიფიკაცია შედგება 32 კლასისა და 223 ქვეკლასისაგან. ის შეიცავს, აგრეთვე, ნაწარმის ანბანურ ჩამონათვალს იმ კლასებისა და ქვეკლასების მითითებით, რომლებსაც მოცემული ნაწარმი განეკუთვნება. ჩამონათვალი შეიცავს 6831 დასახელებას.

ექსპერტთა კომიტეტი, რომელშიც ყველა მონაწილე სახელმწიფოა წარმოდგენილი, შეთანხმებითაა დაფუძნებული და უფლებამოსილია პერიოდულად გადასინჯოს კლასიფიკაცია. ამჟამად მოქმედი კლასიფიკაციის მერვე რედაქცია, რომელიც ძალაშია 2006 წლიდან, მიღებულია 2002 წელს.

კლასიფიკაციას იყენებენ ლოკარნოს შეთანხმების მხარე სახელმწიფოები. მას, აგრეთვე, იყენებენ (ისმ<sup>ო</sup>)-ს საერთაშორისო ბიურო, ბენელუქსის სამრეწველო ნიმუშების უწყება სამრეწველო ნიმუშების საერთაშორისო დეპონირების შესახებ ჰააგის შეთანხმების (1925 წ.) აღმინისტრირებისას, და ევროპის კავშირის შიგა ბაზრის ჰარმონიზაციის უწყება (სასაქონლო ნიშნები და სამრეწველო ნიმუშები).

ლოკარნოს შეთანხმებით შეიქმნა კავშირი თავისი ასამბლეით; კავშირის ყოველი წევრი სახელმწიფო ამავე დროს ასამბლეის

წვერიცაა.

ასამბლეის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა კავშირის ორწლიანი პროგრამისა და ბიუჯეტის დამტკიცება.

ლოკარნოს შეთანხმება დაიდო 1968 წელს, ძალაში შევიდა 1971 წელს და შესწორდა 1979 წელს (სრული ტექსტი იხ. ვებ-გვერდზე: [www.wipo.int/treaties](http://www.wipo.int/treaties)).

შეთანხმება ღიაა სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენციის (1883 წ.) მხარე სახელმწიფოებისათვის.

რატიფიკაციის ან მიერთების სამართლებრივი აქტები დეპონირებისათვის წარედგინება OSMO-ს გენერალურ დირექტორს.

2009 წლის 15 იანვრისათვის ლოკარნოს შეთანხმება 49 მხარე სახელმწიფოს აერთიანებდა.

# **მადრიდის შეთანხმება**

## **ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ**

### **(1891 წ.) და ამ შეთანხმებასთან არსებული ოქმი**

### **(1989 წ.)**

ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის სისტემა რეგულირდება ორი ხელშეკრულებით: ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ მადრიდის შეთანხმებით და მადრიდის შეთანხმებასთან არსებული ოქმით.

მადრიდის შეთანხმებასთან არსებული ოქმი დაიღო მადრიდის სისტემის მეტი მოქნილობის უზრუნველყოფისა და ზოგიერთი იმ ქვეყნის ეროვნულ კანონმდებლობასთან უკეთ მორგების მიზნით, რომელმაც ვერ შეძლო შეთანხმებასთან მიერთება.

მადრიდის შეთანხმება და ოქმი ღიაა ყველა იმ სახელმწიფოსათვის, რომელიც სამრეწველო საკუთრების დაცვის შესახებ პარიზის კონვენციის წევრია. ორივე ხელშეკრულება პარალელურად და დამოუკიდებლად არსებობს და სახელმწიფოებს შეუძლიათ მიერთება როგორც ცალკეულ მათგანთან, ისე ორივესთან. გარდა ამისა, ოქმის წევრი შეიძლება გახდეს ის სამთავრობათაშორისო ორგანიზაცია, რომელსაც გააჩნია ნიშნების რეგისტრაციის საკუთარი უწყება. მადრიდის სისტემის წევრი სახელმწიფოები და ორგანიზაციები ერთობლივად იწოდებიან მონაწილე მხარეებად.

სისტემა იძლევა ნიშნის დაცვის შესაძლებლობას ბევრ ქვეყანაში საერთაშორისო რეგისტრაციის საფუძველზე, რომელიც მოქმედებს დაცვის გავრცელების მიზნით მითითებულ ხელშეკრულების მონაწილე ყველა მხარე სახელმწიფოში.

განაცხადი საერთაშორისო რეგისტრაციაზე (საერთაშორისო განაცხადი) შეიძლება შეტანილ იქნეს მხოლოდ იმ ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ, რომელიც დაკავშირებულია შეთანხმების ან

ოქმის მონაწილე მხარესთან მოქმედი დაწესებულებით, ან მუდმივი საცხოვრებელი ადგილით, ან მოქალაქეობით.

ნიშანი მხოლოდ იმ შემთხვევაშია საერთაშორისო განაცხადის საგანი, თუ ის უკვე რეგისტრირებულია იმ მონაწილე მხარის სასაქონლო ნიშნების უწყებაში (წარმოშობის უწყება), რომელთანაც განმცხადებელი დაკავშირებულია ზემოხსენებული ერთ-ერთი აუცილებელი გარემოებით; თუმცა იმ შემთხვევაში, როდესაც დაცვის გავრცელების მიზნით, ყველა მითითება ოქმის მიხედვით ხორციელდება, საერთაშორისო განაცხადი შეიძლება უბრალოდ ეფუძნებოდეს წარმოშობის უწყებაში რეგისტრაციაზე შეტანილ განაცხადს. საერთაშორისო განაცხადი უნდა წარედგინოს ოსმ(°)-ს საერთაშორისო ბიუროს წარმოშობის უწყების შუამდგომლობით.

საერთაშორისო რეგისტრაციაზე განაცხადში მითითებული უნდა იყოს ერთი ან მეტი მონაწილე მხარე, რომელშიც მოითხოვება დაცვის გავრცელება. დამატებითი მითითებები მოგვიანებითაც შეიძლება განხორციელდეს. დაცვის გავრცელების მიზნით მონაწილე მხარის მითითება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის იმავე ხელშეკრულების წევრია, რომლის წევრიცაა წარმოშობის უწყების მონაწილე მხარე. ეს უკანასკნელი თავად არ შეიძლება მიეთითოს საერთაშორისო განაცხადში.

მოცემული მონაწილე მხარის მითითება შეთანხმების ან ოქმის საფუძველზე ხორციელდება იმის მიხედვით, თუ რომელი ხელშეკრულებაა მონაწილე მხარეებისთვის საერთო. თუ ორივე მონაწილე მხარე როგორც შეთანხმების, ისე ოქმის წევრია, მაშინ მითითება ხორციელდება შეთანხმებით, ე.წ. “უპირატესობის დამცავი მუხლის” გათვალისწინებით (მუხლი 9<sup>sexies</sup>).

იმ შემთხვევაში, როდესაც ყველა მითითება შეთანხმების მიხედვით ხორციელდება, საერთაშორისო განაცხადი და შემდგომი მიმოწერა ფრანგულ ენაზე უნდა შესრულდეს. თუ ერთი მითითება მაინც ხორციელდება ოქმის მიხედვით, მაშინ განმცხადებელს შეუძლია არჩევანი

გააკეთოს ინგლისურ და ფრანგულ ენებს შორის, თუკი წარმოშობის ქვეყანა ამ არჩევანს ერთ-ერთი მათგანით არ ზღუდავს.

საერთაშორისო განაცხადის შეტანა ექვემდებარება ძირითადი საფასურის გადახდას საერთაშორისო ბიუროს ხარჯების დასაფარავად, შემავსებელი საფასურის გადახდას საქონლის და/ან მომსახურების სამზე მეტი ყოველი კლასისათვის და დამატებითი საფასურის გადახდას ყოველი მონაწილე მხარის მითითებისათვის. თუმცა მონაწილე მხარეს შეუძლია განაცხადოს, რომ როდესაც იგი ოქმის მიხედვით არის მითითებული, დამატებითი საფასური უნდა შეიცვალოს ინდივიდუალური საფასურით, რომლის სიდიდეც განისაზღვრება შესაბამისი მონაწილე მხარის მიერ, მაგრამ იგი არ უნდა აღემატებოდეს საფასურს, რომელიც გადაიხდებოდა ნიშნის უშუალოდ მის უწყებაში რეგისტრაციის შემთხვევაში.

მას შემდეგ, რაც საერთაშორისო ბიურო მიიღებს საერთაშორისო განაცხადს, ის ატარებს ექსპერტიზას, რათა დადგინდეს მისი შესაბამისობა შეთანხმების, ოქმისა და მათი ერთიანი ინსტრუქციის მოთხოვნებთან. ექსპერტიზა შემოიფარგლება ფორმალური მოთხოვნებით, რომელიც მოიცავს კლასიფიკაციასა და საქონლის და/ან მომსახურებების სრული ჩამონათვლის ზუსტ ფორმულირებას. ყველა არსობრივი საკითხის განსაზღვრა, როგორცაა იმის დადგენა, არის თუ არა ნიშანი დაცვისუნარიანი, ან უპირისპირდება თუ არა იგი ადრე არსებულ ნიშანს, მითითებულ მონაწილე მხარეს ეკისრება. თუ არანაირი ხარვეზი არ არსებობს, საერთაშორისო ბიუროს ნიშანი შეაქვს საერთაშორისო რეესტრში, აქვეყნებს საერთაშორისო რეგისტრაციას (Ism<sup>(1)</sup>)-ს საერთაშორისო ნიშნების ბიულეტენში და ატყობინებს ამის შესახებ ყოველ მონაწილე მხარეს.

მონაწილე მხარეებს შეუძლიათ ჩაატარონ საერთაშორისო რეგისტრაციის ექსპერტიზა, ეროვნული კანონმდებლობების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასადგენად, არსებით მოთხოვნებთან რაიმე შეუსაბამობის დადგენის შემთხვევაში, მათ აქვთ უფლება უარი თქვან

საკუთარ ტერიტორიაზე ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე. ყოველი ასეთი უარი, უარის თქმის საფუძვლების მითითებასთან ერთად, უნდა ეცნობოს საერთაშორისო ბიუროს, ჩვეულებრივ, შეტყობინების თარიღიდან 12 თვის ვადაში. თუმცა ოქმის მონაწილე მხარეს შეუძლია განაცხადოს, რომ როდესაც მის ტერიტორიაზე დაცვის გავრცელება ოქმის მიხედვით მოითხოვება, ეს ვადა 18 თვემდე უნდა გავრძელდეს. ასეთ შემთხვევაში მონაწილე მხარეს შეუძლია განაცხადოს, აგრეთვე, რომ თუ უარი შედავებას ეფუძნება, მაშინ ის საერთაშორისო ბიუროს შეიძლება ამ 18 თვიანი ვადის გასვლის შემდეგაც კი ეცნობოს.

უარი ეცნობება მფლობელს, შეიტანება საერთაშორისო რეესტრში და ქვეყნდება ბიულეტენში. უარის თქმის შემდგომი პროცედურა (როგორცაა გასაჩივრება ან გადასინჯვა) ტარდება უშუალოდ შესაბამისი მონაწილე მხარის ადმინისტრაციასა და მფლობელს ან სასამართლოსა და მფლობელს შორის საერთაშორისო ბიუროს რაიმე მონაწილეობის გარეშე. მიუხედავად ამისა, საბოლოო გადაწყვეტილება უარის თქმის შესახებ უნდა ეცნობოს საერთაშორისო ბიუროს, რომელიც შეიტანს მას რეესტრში და გამოაქვეყნებს.

საერთაშორისო რეგისტრაციის თარიღიდან ყოველ მითითებულ მონაწილე მხარეში საერთაშორისო რეგისტრაციას იგივე შედეგი აქვს, როგორც ექნებოდა ნიშანს უშუალოდ მონაწილე მხარის უწყებაში წარდგენის შემთხვევაში. თუ უარყოფითი გადაწყვეტილება სათანადო ვადაში არ იქნა გამოტანილი ან უარის შესახებ თავდაპირველი შეტყობინება უკან იქნა გამოთხოვილი მონაწილე მხარის მიერ, საერთაშორისო რეგისტრაციის დღიდან ნიშნის დაცვა იქნება ისეთივე, როგორც ექნებოდა მას მონაწილე მხარის უწყების მიერ მისი რეგისტრაციის შემთხვევაში.

დაცვა შეიძლება შეიზღუდოს საქონლის ან მომსახურების მთლიანი ჩამონათვლის ან მისი ნაწილის მიმართ ან არ გავრცელდეს მხოლოდ ზოგიერთი მითითებული მონაწილე მხარის ტერიტორიაზე.

საერთაშორისო რეგისტრაცია შეიძლება დაექვემდებაროს უფლებების გადაცემას ყველა ან ზოგიერთი მითითებული მონაწილე მხარის ტერიტორიაზე და საქონლის ან მომსახურების მთლიანი ჩამონათვლის ან მისი ნაწილის მიმართ.

ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის სისტემას რამდენიმე უპირატესობა გააჩნია სასაქონლო ნიშნის მესაკუთრეებისათვის. ყველა მისთვის სასურველ ქვეყანაში მრავალი ეროვნული განაცხადის სხვადასხვა ენაზე, სხვადასხვა ეროვნული პროცედურული წესებისა და ინსტრუქციების დაცვით და სხვადასხვა (ხშირად უფრო მაღალი) საფასურის გადახდით შეტანის ნაცვლად, საერთაშორისო რეგისტრაცია შეიძლება განხორციელდეს უბრალოდ ერთი განაცხადის წარდგენით საერთაშორისო ბიუროში (მშობლიური ქვეყნის უწყების მეშვეობით) ერთ ენაზე (ინგლისურად ან ფრანგულად) და საფასურების მხოლოდ ერთიანი თანხის გადახდით.

მსგავსი უპირატესობები ძალაში რჩება, როდესაც ხდება რეგისტრაციის გაგრძელება, რისთვისაც საჭიროა საფასურების გადახდა საერთაშორისო ბიუროში ყოველ 10 წელიწადში. ამავე დროს, თუ საერთაშორისო რეგისტრაციაზე უფლება მესამე მხარეს გადაეცა ან მოხდა სხვა სახის ცვლილებები, როგორცაა სახელის და/ან მისამართის ცვლილება, ყველაფერი შეიძლება შეტანილ იქნეს რეესტრში და მოქმედებდეს ყველა მითითებულ მონაწილე მხარეში ერთი პროცედურული საფეხურის გამოყენებით.

მადრიდის სისტემის განვითარებაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ 1978 წელს საერთაშორისო ბიუროს მიერ 7307 საერთაშორისო რეგისტრაცია იქნა შეტანილი რეესტრში, მაშინ როცა 2001 წელს შესაბამისი რაოდენობა 22968 იყო. ეს საერთაშორისო განაცხადები შეიცავდა დაცვის გავრცელების მიზნით 275160 მონაწილე მხარეზე მითითებას, საშუალოდ თითოეულ განაცხადზე – თორმეტს. ამ ციფრს უნდა დაემატოს 26333 მითითება, რომელიც განხორციელდა 2000 წელს აღრიხდელ საერთაშორისო რეგისტრაციებთან დაკავშირებით.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, 2000 წელს დაცვის გავრცელების მიზნით განხორციელებული მითითებები 301000-ზე მეტი ეროვნული განაცხადის ეკვივალენტურია.

მომხმარებლისათვის მადრიდის სისტემის გამოყენების გასაადვილებლად საერთაშორისო ბიურო გამოსცემს მადრიდის შეთანხმებისა და ოქმის მიხედვით ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის სახელმძღვანელოს.

მადრიდის შეთანხმება დაიდო 1891 წელს და გადაისინჯა ბრიუსელში 1900 წელს, ვაშინგტონში – 1911 წელს, ჰააგაში – 1925 წელს, ლონდონში – 1934 წელს, ნიცაში – 1957 წელს და სტოკჰოლმში – 1967 წელს; შესწორდა 1979 წელს. მადრიდის შეთანხმებასთან არსებული ოქმი კი დაიდო 1989 წელს (შეთანხმებისა და ოქმის სრული ტექსტები იხ. ვებგვერდზე: [www.wipo.int/treaties](http://www.wipo.int/treaties)).

მადრიდის შეთანხმების და ოქმის რატიფიკაციის ან მიერთების სამართლებრივი აქტები დეპონირებისათვის წარედგინება OSM()-ს გენერალურ დირექტორს.

2009 წლის 15 იანვრისათვის მადრიდის შეთანხმება 56, ხოლო ოქმი 78 მონაწილე მხარეს აერთიანებდა.

საქართველო მიუერთდა ოქმს 1998 წლის 20 აგვისტოს.

## **მაღრიდის შეთანხმება საქონელზე ყალბი ან შეცდომაში შეყვანილი ნაჩიქვრების აღნიშვნების აღკვეთის შესახებ (1891 წ.)**

შეთანხმების თანახმად, ყველა საქონელი, რომელიც ატარებს წარმოშობის ყალბ ან შეცდომაში შემყვან აღნიშვნას, რომელითაც ხდება პირდაპირი თუ ირიბი მითითება შეთანხმების მონაწილე ერთ-ერთ სახელმწიფოზე ან სახელმწიფოში მდებარე ადგილზე, როგორც წარმოშობის ქვეყანაზე ან ადგილზე, უნდა დაყადაღდეს იმპორტირებისას, ან ასეთი იმპორტი უნდა აიკრძალოს, ან სხვა ქმედებები და სანქციები უნდა იქნეს გამოყენებული ასეთი სახის იმპორტთან დაკავშირებით.

შეთანხმება ითვალისწინებს იმ შემთხვევებს, როდესაც შეიძლება მოითხოვებოდეს დაყადაღება, და დაყადაღების განხორციელების წესს. შეთანხმება კრძალავს საქონლის გაყიდვის, გამოფენაზე ექსპონირების ან გასაყიდად შეთავაზებისას ყველა იმ აღნიშვნის გამოყენებას, რომელსაც შეუძლია საზოგადოების შეცდომაში შეყვანა საქონლის წარმოშობასთან დაკავშირებით. თითოეული მონაწილე სახელმწიფოს სასამართლოს კომპეტენციაში რჩება იმის განსაზღვრა, თუ გვარობითი ხასიათის გამო რომელი დასახელებები (გარდა ყურძნის პროდუქტების წარმოშობასთან დაკავშირებული რეგიონების დასახელებისა) არ ხვდება შეთანხმების სამართლებრივ სფეროში. შეთანხმება არ ითვალისწინებს კავშირის, რაიმე მმართველი ორგანოს ან ბიუჯეტის შექმნას.

შეთანხმება დაიდო 1891 წელს და გადაისინჯა: ვაშინგტონში 1911 წელს, ჰააგაში – 1925 წელს, ლონდონში – 1934 წელს, ლისაბონში – 1958 წელს და სტოკჰოლმში – 1967 წელს (სრული ტექსტი იხ. ვებგვერდზე: [www.wipo.int/treaties](http://www.wipo.int/treaties)).

შეთანხმება ღია სამრეწველო საკუთრების დაცვის შესახებ პარიზის კონვენციის (1883 წ.) მხარე სახელმწიფოებისათვის.

რატიფიკაციის ან მიერთების სამართლებრივი აქტები დეპონირებისათვის წარედგინება ოსმ(ი)-ს გენერალურ დირექტორს.

2009 წლის 15 იანვრისათვის შეთანხმება 35 მხარე სახელმწიფოს აერთიანებდა.

# ნაირობის ხელშეკრულება ოლიმპიური სიმბოლოების დაცვის შესახებ (1981 წ.)

ხელშეკრულების ყოველი მხარე სახელმწიფო ვალდებულია ხუთი რგოლის სახით წარმოდგენილი ოლიმპიური სიმბოლო დაიცვას საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ნებართვის გარეშე კომერციული მიზნებით გამოყენებისაგან (რეკლამებში, საქონელზე, ნიშნის სახით და სხვ.).

ხელშეკრულების მნიშვნელოვანი შედეგია ის, რომ თუ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი ხელშეკრულების მხარე სახელმწიფოს ოლიმპიური სიმბოლოს გამოყენების ნებართვას აძლევს თავის ტერიტორიაზე, ამავე სახელმწიფოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი ნაწილობრივ შემოსავალს იღებს იმ შემოსავლიდან, რომელსაც საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი იღებს აღნიშნული ნებართვის მიცემაში.

ხელშეკრულება არ ითვალისწინებს გაერთიანების, მმართველი ორგანოს ან ბიუჯეტის დაწესებას.

ხელშეკრულება (სრული ტექსტი იხ. ვებგვერდზე: [www.wipo.int/treaties](http://www.wipo.int/treaties)) ღიაა ნებისმიერი სახელმწიფოსათვის, რომელიც არის ოსმ(ო)-ს, სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კავშირის (1883 წ.), გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი, ან გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან დაკავშირებული ნებისმიერი ორგანიზაციისათვის.

რატიფიკაციის ან მიერთების სამართლებრივი აქტები დეკონირებისათვის წარედგინება ოსმ(ო)-ს გენერალურ დირექტორს.

2009 წლის 15 იანვრისათვის ხელშეკრულება 47 მხარე სახელმწიფოს აერთიანებდა.

**ნიმოს შეთანხმება**  
**ნიშნების რეგისტრაციისათვის განკუთვნილი**  
**საქონლისა და მომსახურების საერთაშორისო**  
**კლასიფიკაციის შესახებ**  
**(1957 წ.)**

შეთანხმება ადგენს სასაქონლო და მომსახურების ნიშნების რეგისტრაციისათვის განკუთვნილი საქონლისა და მომსახურების კლასიფიკაციას (ნიმოს კლასიფიკაცია). შეთანხმების მონაწილე სახელმწიფოების სასაქონლო ნიშნების უწყებათა ვალდებულებაა ნიშნების ყოველ რეგისტრაციასთან დაკავშირებულ ოფიციალურ დოკუმენტებსა და პუბლიკაციებში კლასიფიკაციის მიხედვით დადგინილი იმ კლასების სიმბოლოების მითითება, რომელთაც მიეკუთვნება რეგისტრირებული ნიშანი.

კლასიფიკაცია მოიცავს კლასების ჩამონათვალს – საქონლის 34 და მომსახურების 11 კლასს – და კლასებისა და მომსახურების ანბანურ ჩამონათვალს. ეს უკანასკნელი შეადგენს 11600-მდე დასახელებას. ორივე სახის ჩამონათვალი პერიოდულად სწორდება და ივსება ექსპერტთა საბჭოს მიერ, რომელშიც წარმოდგენილია ყველა მონაწილე სახელმწიფო. ამჟამად მოქმედებაშია კლასიფიკაციის მეცხრე რედაქცია, რომელიც ძალაში შევიდა 2007 წლის პირველ იანვარს.

არანაკლებ 148 ქვეყნის სასაქონლო ნიშნების უწყება, ისევე, როგორც OSM(®)-ს საერთაშორისო ბიურო, აფრიკის ინტელექტუალური საკუთრების ორგანიზაცია (OAPI), აფრიკის ინტელექტუალური საკუთრების რეგიონალური ორგანიზაცია (ARIPO), ბენელუქსის ინტელექტუალური საკუთრების უწყება (BOIP) და შიდა ბაზრის ჰარმონიზაციის უწყება (სასაქონლო ნიშნები და სამრეწველო ნიშნუმი) (OHIM) აქტიურად იყენებს აღნიშნულ კლასიფიკაციას.

ნიცის შეთანხმებით შექმნილია კავშირი, რომელსაც გააჩნია ასამბლეა. კავშირის ყოველი წევრი, რომელიც მიუერთდა ნიცის შეთანხმების სტოკჰოლმის ან ჟენევის აქტებს, ასამბლეის წევრია.

ასამბლეის უმნიშვნელოვანეს ამოცანებს განეკუთვნება კავშირის ორწლიანი პროგრამისა და ბიუჯეტის მიღება.

1957 წელს დადებული ნიცის შეთანხმება გადაისინჯა 1967 წელს სტოკჰოლმში და 1977 წელს – ჟენევაში, აგრეთვე, შესწორდა 1979 წელს (სრული ტექსტი იხ. ვებგვერდზე: [www.wipo.int/treaties](http://www.wipo.int/treaties)).

შეთანხმება ღიაა სამრეწველო საკუთრების დაცვის შესახებ პარიზის კონვენციის (1883 წ.) მხარე სახელმწიფოებისათვის.

რატიფიკაციის ან მიერთების სამართლებრივი აქტები დეკონირებისათვის წარედგინება OSMO-ს გენერალურ დირექტორს.

2009 წლის 15 იანვრისათვის ნიცის შეთანხმება 83 მონაწილე სახელმწიფოს აერთიანებდა.

საქართველო შეთანხმებას მიუერთდა 2003 წლის 28 თებერვალს.

# პარიზის კონვენცია სამრეწველო საკუთრების დაცვის შესახებ (1883 წ.)

კონვენცია ეხება სამრეწველო საკუთრებას ფართო გაგებით და მოიცავს გამოგონებებს, სასაქონლო და მომსახურების ნიშნებს, სამრეწველო ნიშუშებს, სასარგებლო მოდელებს ("მცირე გამოგონება", რომელსაც ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა ითვალისწინებს), საფირმო სახელწოდებებს (აღნიშვნები, რომელთა გამოყენებით ხორციელდება სამრეწველო ან კომერციული საქმიანობა), გეოგრაფიულ აღნიშვნებს (წარმოშობის აღნიშვნები და ადგილწარმოშობის დასახელებები) და არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთას.

კონვენციის მატერიალური ნორმები იყოფა სამ ძირითად კატეგორიად. ნორმათა პირველი კატეგორია ეხება ეროვნული რეჟიმის უფლებას. მეორე კატეგორია აწესებს ე.წ. პრიორიტეტის უფლებას, ხოლო მესამე კატეგორია აერთიანებს ზოგად ნორმებს:

- ეროვნული რეჟიმის შესახებ ნორმების მიხედვით, კონვენცია ითვალისწინებს, რომ თითოეულმა მონაწილე სახელმწიფომ სხვა მონაწილე სახელმწიფოთა მოქალაქეებს სამრეწველო საკუთრებასთან დაკავშირებით მინიმუმ იგივე დაცვა, როგორსაც იგი ანიჭებს საკუთარ მოქალაქეებს. კონვენციის მონაწილე სახელმწიფოს მოქალაქეებს, რომლებსაც აქვთ მუდმივი საცხოვრებელი ადგილი ან ნამდვილი და მოქმედი სამრეწველო ან კომერციული საწარმო მონაწილე სახელმწიფოში, აგრეთვე, აქვთ უფლება ეროვნულ რეჟიმზე.
- გამოგონების, სასარგებლო მოდელების, ნიშნებისა და სამრეწველო ნიშუშებისათვის კონვენცია ითვალისწინებს პრიორიტეტის უფლებას. ეს უფლება ნიშნავს, რომ რომელიმე მონაწილე სახელმწიფოში სამრეწველო საკუთრების უფლებაზე შეტანილი სწორად

გაფორმებული განაცხადის საფუძველზე მისი შეტანის თარიღიდან დროის გარკვეულ პერიოდში, (გამოგონებებისა და სასარგებლო მოდელებისათვის 12 თვე, ხოლო სამრეწველო ნიმუშებისა და სასაქონლო ნიშნებისათვის 6 თვე) განმცხადებელს შეუძლია აღნიშნული განაცხადის შეტანის თარიღის საფუძველზე, მოგვიანებით მოითხოვოს დაცვა ყველა სხვა მონაწილე სახელმწიფოში. ამასთან, სხვა ქვეყანაში შეტანილი განაცხადი პირველი (ანუ ყველაზე ადრინდელი) განაცხადის შეტანის დღეს შეტანილად განიხილება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ასეთი მოგვიანებით შეტანილი განაცხადი სარგებლობს პრიორიტეტით (აქედან მომდინარეობს ტერმინი – ”პრიორიტეტის უფლება”) ყველა იმ განაცხადის მიმართ, რომლებიც შესაძლოა უკვე იყო შეტანილი დროის აღნიშნული პერიოდის განმავლობაში სხვა პირების მიერ იმავე გამოგონების, სასარგებლო მოდელის, ნიშნის ან სამრეწველო ნიმუშისათვის. უფრო მეტიც, ამ ინტერვალში მომხდარი ნებისმიერი ფაქტი, როგორცაა გამოგონების საჯარო გახსნა, ან ისეთი პროდუქციის გაყიდვა, რომელიც ნიშანდებულია სასაქონლო ნიშნით ან შეიცავს სამრეწველო ნიმუშს, არ იქონიებს გავლენას პირველი განაცხადის პრიორიტეტის მოთხოვნით მოგვიანებით შეტანილ განაცხადზე. ამ ნორმის ერთ-ერთი პრაქტიკული უპირატესობა ისაა, რომ თუ განმცხადებელს სურს დაცვა რამდენიმე ქვეყანაში, იგი არ არის ვალდებული ერთდროულად წარადგინოს ყველა თავისი განაცხადი, არამედ მას ეძლევა ექვს – ან თორმეტთვიანი ვადა, რათა გადაწყვიტოს, თუ რომელ ქვეყნებში სურს უფლების მოპოვება, და სათანადო ორგანიზება გაუწიოს ამ მიმართულებით გადასადგმელ ნაბიჯებს.

- კოვენცია ადგენს ყველა მონაწილე სახელმწიფოსათვის სავალდებულო რამდენიმე ზოგად ნორმას, რომელთა შორის მნიშვნელოვანია შემდეგი:

## პატენტებთან დაკავშირებით

სხვადასხვა მონაწილე სახელმწიფოში ერთსა და იმავე გამოგონებაზე გაცემული პატენტები ურთიერთდამოუკიდებელია – ერთ მონაწილე სახელმწიფოში პატენტის გაცემა არ ავალდებულებს სხვა მონაწილე სახელმწიფოებს, გასცენ პატენტი; არ შეიძლება პატენტის გაცემაზე უარის თქმა, გაუქმება ან მისი მოქმედების შეწყვეტა იმ მიზეზით, რომ პატენტის გაცემაზე უარი ითქვა, გაუქმდა ან შეწყდა ნებისმიერ სხვა მონაწილე სახელმწიფოში.

გამოგონების შემქმნელს უფლება აქვს პატენტში მოხსენიებული იყოს გამოგონებლად.

არ შეიძლება უარი ითქვას პატენტის გაცემაზე და არ შეიძლება პატენტის ბათილად ცნობა იმ მიზეზით, რომ დაპატენტებული პროდუქციის, ან დაპატენტებული ხერხით მიღებული პროდუქციის, გაყიდვა, ეროვნული კანონმდებლობიდან გამომდინარე, ექვემდებარება აკრძალვებსა და შეზღუდვებს.

თითოეულ მონაწილე სახელმწიფოს, რომელიც პატენტით მინიჭებული განსაკუთრებული უფლების ბოროტად გამოყენების აღსაკვეთად იძულებითი ლიცენზიების გაცემას ითვალისწინებს, ადმინისტრაციული ზომების გატარება მხოლოდ გარკვეული შეზღუდვებით შეუძლია. სახელდობრ, დაპატენტებული გამოგონების გამოუყენებლობაზე დაფუძნებული იძულებითი ლიცენზია, რომელიც გაიცემა არა პატენტმფლობელის, არამედ მოცემული სახელმწიფოს სახელისუფლო ორგანოს მიერ, მესამე პირთა მოთხოვნის საფუძველზე, შეიძლება გაიცეს მხოლოდ დაპატენტებული გამოგონების გამოუყენებლობის ან არასაკმარისი გამოყენების სამი ან ოთხწლიანი ვადის გასვლის შემდეგ. ასეთი ლიცენზიის გაცემაზე უნდა ითქვას უარი, თუ პატენტმფლობელი წარმოადგენს დასაბუთებულ მიზეზებს თავისი უმოქმედობის გასამართლებლად. ამასთან, პატენტზე უფლების ჩამორთმევა არ შეიძლება იყოს გათვალისწინებული, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც იძულებითი

ლიცენზიის გაცემა არ აღმოჩნდება საკმარისი განსაკუთრებული უფლების ბოროტად გამოყენების აღსაკვეთად. ამ შემთხვევაში, პატენტის გაუქმებასთან დაკავშირებული სასამართლო საქმე შეიძლება აღიძრას მხოლოდ პირველი იძულებითი ლიცენზიის გაცემიდან ორი წლის გასვლის შემდეგ.

### **ნიშნებთან დაკავშირებით**

პარიზის კონვენცია არ არეგულირებს ნიშნების შეტანისა და რეგისტრაციის პირობებს. ისინი თითოეულ მონაწილე სახელმწიფოში დგინდება ეროვნული კანონმდებლობით. ამასთან, არ შეიძლება მონაწილე სახელმწიფოს მოქალაქეს ნიშნის სარეგისტრაციოდ შეტანილ განაცხადზე უარი ეთქვას, არც მისი ნიშნის რეგისტრაციის გაბათილება შეიძლება იმ მიზეზით, რომ შეტანა, რეგისტრაცია ან ვადის გაგრძელება არ განხორციელებულა წარმოშობის ქვეყანაში. მას შემდეგ, რაც მონაწილე სახელმწიფოში ნიშანი რეგისტრირდება, იგი დამოუკიდებელია ნებისმიერ სხვა ქვეყანაში მისი შესაძლო რეგისტრაციებისაგან; შედეგად, ნიშნის რეგისტრაციის ვადის გასვლა ან გაუქმება ერთ მონაწილე სახელმწიფოში არ ახდენს გავლენას რეგისტრაციაზე სხვა მონაწილე სახელმწიფოებში.

წარმოშობის ქვეყანაში მართლზომიერად რეგისტრირებული ნიშნის სხვა მონაწილე სახელმწიფოში სარეგისტრაციოდ წარდგენისას, იგი განსახილველად მიღებული და დაცული უნდა იყოს იმ სახით, როგორითაც დაცულია წარმოშობის ქვეყანაში. ამავე დროს, გარკვეულ შემთხვევებში რეგისტრაციაზე შეიძლება ითქვას უარი, მაგალითად, თუ ნიშანი არღვევს მესამე პირის მიერ უკვე მოპოვებულ უფლებას, არ გააჩნია განმასხვავებლობა, ეწინააღმდეგება ზნეობრივ ნორმებსა და საზოგადოებრივ წესრიგს, ან თუ მას შეუძლია გამოიწვიოს შეცდომა.

თუ, რომელიმე მონაწილე სახელმწიფოში რეგისტრირებული ნიშნის გამოყენება სავალდებულოა, რეგისტრაციის გაუქმება

შესაძლებელია გონივრული პერიოდის გასვლის შემდეგ, და მხოლოდ მაშინ, თუ მფლობელი ვერ შეძლებს მისი უმოქმედობის გამართლებას.

ყოველი მონაწილე სახელმწიფო ვალდებულია უარი თქვას იმ ნიშნების რეგისტრაციაზე და აკრძალოს ისეთი ნიშნების გამოყენება, რომლებიც წარმოადგენს ამ სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოს მიერ აღიარებული საყოველთაოდ ცნობილი ნიშნის რეპროდუქციას, იმიტაციას ან თარგმანს, რამაც შეიძლება გამოიწვიოს აღრევა ამ საყოველთაოდ ცნობილ ნიშანთან, თუ ის იმ პიროვნების ნიშანია, ვისაც უფლება აქვს ისარგებლოს კონვენციის უპირატესობებით, და თუ გამოიყენება მსგავსი საქონლისა და მომსახურებისათვის.

ყოველი მონაწილე სახელმწიფო ვალდებულია უარი თქვას, აგრეთვე, იმ ნიშნების რეგისტრაციაზე და აკრძალოს ისეთი ნიშნების გამოყენება, რომლებიც შეადგენს ან შეიცავს მონაწილე სახელმწიფოების გერბს, სახელმწიფო ემბლემებს, ოფიციალურ სიმბოლოებსა და დამღებს შესაბამისი ნებართვის გარეშე, თუ სახელმწიფო ამ სახის სიმბოლოების შესახებ ოფიციალურად არის ინფორმირებული OSM(-)ს საერთაშორისო ბიუროს მიერ. იგივე ნორმები გამოიყენება გარკვეული სამთავრობათაშორისო ორგანიზაციების გერბების, დროშების, სხვა ემბლემების, აბრევიატურებისა და სახელწოდებებისათვისაც.

ყოველი მონაწილე სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს კოლექტიური ნიშნების დაცვა.

### **სამრეწველო ნიმუშებთან დაკავშირებით**

სამრეწველო ნიმუშები დაცული უნდა იყოს ყოველ მონაწილე სახელმწიფოში და მოპოვებული უფლების დაკარგვა არ უნდა მოხდეს იმ მიზეზით, რომ ნაკეთობები, რომლებიც მოიცავს ნიმუშს, არ იწარმოება ამ სახელმწიფოში.

### **საფირმო სახელწოდებებთან დაკავშირებით**

ყოველ მონაწილე სახელმწიფოში საფირმო სახელწოდების დაცვა უნდა იყოს უზრუნველყოფილი განაცხადის შეტანის ან რეგისტრაციის ვალდებულების გარეშე.

### **წარმოშობის აღნიშვნებთან დაკავშირებით**

ყოველმა მონაწილე სახელმწიფომ უნდა მიიღოს ზომები საქონლის წარმოშობის ან მწარმოებლის, დამამზადებლის ან მოვაჭრის ვინაობის პირდაპირი ან არაპირდაპირი ყალბი მითითების წინააღმდეგ.

### **არაკეთილსინდისიერ კონკურენციასთან დაკავშირებით**

ყოველმა მონაწილე სახელმწიფომ უნდა გაითვალისწინოს ქმედითი დაცვა არაკეთილსინდისიერი კონკურენციის წინააღმდეგ.

კონვენციის მიერ დაარსებულ პარიზის კავშირს გააჩნია ასამბლეა და აღმასრულებელი კომიტეტი. კავშირის წევრი თითოეული სახელმწიფო, რომელიც მიუერთდა სტოკჰოლმის აქტის (1967წ.) აღმინისტრაციულ და დასკვნით ნორმებს, ასამბლეის წევრია. აღმასრულებელი კომიტეტის წევრების არჩევა ხორციელდება კავშირის წევრი სახელმწიფოებისაგან, გარდა შვეიცარიისა, რომელიც არის *ex officio* წევრი.

ასამბლეის ამოცანაა OSM-ს სამდივნოს ორწლიანი პროგრამისა და ბიუჯეტის შემუშავება პარიზის კავშირთან მიმართებაში.

პარიზის კონვენცია დაარსდა 1883 წელს და გადაისინჯა: ბრიუსელში – 1900 წელს, ვაშინგტონში – 1911 წელს, ჰააგაში – 1925 წელს, ლონდონში – 1934 წელს, ლისაბონში – 1958 წელს, სტოკჰოლმში – 1967 წელს; ცვლილებები იქნა შეტანილი 1979 წელს (სრული ტექსტი იხ. ვებგვერდზე: [www.wipo.int/treaties](http://www.wipo.int/treaties)).

კონვენცია ღიაა ყველა სახელმწიფოსათვის.

რატეფიკაციის ან მიერთების სამართლებრივი აქტები დეპონირებისათვის წარედგინება OSMO-ს გენერალურ დირექტორს.

2009 წლის 15 იანვრის მონაცემებით, პარიზის კონვენციის მონაწილეა 173 სახელმწიფო, რომელთაგან 171 ასამბლეის წევრია, ხოლო აღმასრულებელ კომიტეტში შედის 42 სახელმწიფო.

საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად, საქართველო მიიჩნევა პარიზის კონვენციის მონაწილედ 1991 წლის 25 დეკემბრიდან.

## საპატენტო კანონმდებლობის შესახებ ხელშეკრულება (2000წ.)

საპატენტო კანონის შესახებ ხელშეკრულების (PLT ხელშეკრულების) მიზანია ეროვნულ და რეგიონალურ საპატენტო განაცხადებსა და პატენტებთან დაკავშირებული ფორმალური მოთხოვნებისა და პროცედურების ჰარმონიზაცია და რაციონალიზაცია. შეტანის თარიღის დადგენისათვის საჭირო მოთხოვნების მნიშვნელოვან გამარტივებასთან ერთად PLT ხელშეკრულება ითვალისწინებს მოთხოვნათა მთელ რიგ ნაირსახეობებს, რომელთა გამოყენებაც მონაწილე მხარეების უწყებებს შეუძლიათ. ეს ნიშნავს, რომ მონაწილე მხარე თავისუფალია ისეთი მოთხოვნების შერჩევაში, რომლებიც უფრო ხელსაყრელია განმცხადებლებისა და მფლობელებისათვის, მაგრამ, ამასთან დაუშვებელია მათზე მეტი მოთხოვნების დაწესება. კერძოდ, ხელშეკრულება შეიცავს ნორმებს, რომლებიც ეხება შემდეგ საკითხებს:

- შეტანის თარიღის დადგენის მოთხოვნების მოყვანა სტანდარტებთან შესაბამისობაში, რათა განმცხადებლებისათვის შეტანის თარიღის დაკარგვის შესაძლებლობა მინიმუმამდე იყოს შემცირებული. PLT ხელშეკრულება მონაწილე მხარეების უწყებებს ავალდებულებს, რომ შეტანის თარიღის დადგენა მოხდეს სამი მარტივი ფორმალური მოთხოვნის შესაბამისად: პირველი – უწყების მიერ მიღებულ მასალებში უნდა იყოს მინიშნება იმის შესახებ, რომ ისინი განეკუთვნება საპატენტო განაცხადს გამოგონებაზე; მეორე – მასალებში უნდა იყოს მითითებული მონაცემები, რომლებიც უწყებას განმცხადებლის ვინაობის დადგენის ან მასთან დაკავშირების შესაძლებლობას მისცემს; ამასთან, ხელშეკრულების მონაწილე მხარეს შეუძლია, რომ ზემოაღნიშნული ორივე სახის მითითება მოითხოვოს; მესამე – მასალებში უნდა იყოს წარმოდგენილი ისეთი რამ, რაც გამოგონების აღწერილობად შეიძლება

იქნეს განხილული. შეტანის თარიღის დასადგენად არ უნდა იყოს მოთხოვნილი არანაირი სხვა დამატებითი მასალა. კერძოდ, მონაწილე მხარეს არ შეუძლია მოითხოვოს ფორმულის ერთი ან მეტი მუხლის წარმოდგენა, ან საფასური ამ თარიღის დასადგენად. ეს მოთხოვნები მინიმალურია და განიხილება უპირობო მოთხოვნებად, რომელთა შესრულებაც სავალდებულოა შეტანის თარიღის დასადგენად;

- ეროვნული და რეგიონალური განაცხადებისათვის ფორმალური მოთხოვნების გარკვეული კატეგორიის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა PLT ხელშეკრულებაში ისეთი მოთხოვნების შეტანით, რომლებიც უკავშირდება საპატენტო კოოპერაციის ხელშეკრულების (PCT) მიხედვით წარდგენილი განაცხადების ფორმას, განცხადების ბლანკის ჩათვლით, რომელსაც თან უნდა ერთვოდეს მითითება იმის შესახებ, რომ განაცხადი უნდა განიხილებოდეს ეროვნულ განაცხადად. ამით აღმოიფხვრება ან შემცირდება პროცედურული განსხვავებები ეროვნულ, რეგიონალურ და საერთაშორისო საპატენტო სისტემებს შორის;
- შეთანხმება იმ სტანდარტული ფორმის საერთაშორისო ბლანკების შემოღებასთან დაკავშირებით, რომლებიც უნდა აღიაროს ყველა მონაწილე მხარის უწყებამ;
- საპატენტო უწყებებისათვის რიგი პროცედურების გამარტივება, რაც ხელს შეუწყობს ხარჯების შემცირებას, როგორც განმცხადებლების, ისე უწყებებისათვისაც. ასეთი პროცედურებია, მაგალითად, სავალდებულო წარმომადგენელთან დაკავშირებული გამონაკლისები, შეზღუდვა განმეორებითი მტკიცებულებების წარდგენის მოთხოვნაზე, უწყების მიმართ მოთხოვნა გარკვეულ შემთხვევებში ერთი საბუთის (მაგ. მინდობილობის) მიღების დაშვებაზე, შეზღუდვა ადრინდელი განაცხადის და მისი თარგმანის ასლის წარდგენის მოთხოვნაზე;
- ფორმალური მოთხოვნების ან ვადების დაუცველობის შედეგად

არსებითი უფლებების უნებლიე დაკარგვის თავიდან აცილების უზრუნველყოფა. ამ მიზნით PLT ხელშეკრულება უწყებებს ავალდებულებს, განმცხადებელს ან სხვა დაინტერესებულ პირს აცნობოს ვადების ამოწურვის, პროცედურების გაგრძელების, უფლებების აღდგენის შესახებ და დააწესოს შეზღუდვები იმ ფორმალური ხარვეზების არსებობის გამო პატენტის გაუქმებაზე ან ძალის დაკარგვაზე, რომლებიც ვერ შეამჩნია უწყებამ განაცხადის განხილვის სტადიაზე;

- განაცხადის ელექტრონული წარდგენის განხორციელების გამართვა. ამ თვალსაზრისით, დასაშვები გახდა ერთობლივად ქალაქში წარმოდგენილი მასალებისა და ელექტრონული სახით მასალების წარდგენა. ხელშეკრულება ითვალისწინებს, რომ მონაწილე მხარეებისათვის დაშვებულია ქალაქში წარმოდგენილი მასალების წარდგენის პტრაქტიკის გაუქმება და 2005 წლის 2 ივნისიდან მთლიანად ელექტრონული გზით წარდგენაზე გადასვლა. მიუხედავად ამისა, ამ თარიღის შემდეგაც კი უწყებები ვალდებულნი იქნებიან მიიღონ ქალაქში წარმოდგენილი მასალები შეტანის თარიღის დადგენისა და ვადის დაცვის მიზნით. ამასთან დაკავშირებით გაკეთდა განცხადება, რომ განვითარებული ქვეყნები გააგრძელებენ დახმარების გაწევას განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისათვის განაცხადის ელექტრონული წარდგენის დანერგვის საქმეში.

საპატენტო კანონმდებლობის შესახებ ხელშეკრულება (სრული ტექსტი იხ. ვებგვერდზე: [www.wipo.int/treaties](http://www.wipo.int/treaties)) დაილო 2000 წლის 1 ივნისს. იგი ღიაა OSMI-ს წევრი სახელმწიფოებისათვის და/ან სამრეწველო საკუთრების დაცვის შესახებ პარიზის კონვენციის მხარე სახელმწიფოებისათვის, აგრეთვე ზოგიერთი სამთავრობათაშორისო ორგანიზაციისათვის.

რატიფიკაციის ან მიერთების სამართლებრივი აქტები დეკონირებისათვის წარედგინება OSMI-ს გენერალურ დირექტორს.

ხელშეკრულება ძალაში შევიდა 2005 წლის 28 აპრილს.  
2009 წლის 15 იანვრისათვის PLT ხელშეკრულება 19 მონაწილე  
მხარე სახელმწიფოს აერთიანებდა.

## საპატენტო კოოპერაციის ხელშეკრულება PCT (1970 წ.)

საპატენტო კოოპერაციის ხელშეკრულებით (PCT ხელშეკრულებით) შესაძლებელია გამოგონებაზე საპატენტო დაცვის მოთხოვნა ერთდროულად მრავალ ქვეყანაში “საერთაშორისო საპატენტო განაცხადის” წარდგენის საფუძველზე. ასეთი განაცხადი შეიძლება წარადგინოს ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოს ნებისმიერმა მოქალაქემ ან რეზიდენტმა. განაცხადი, ჩვეულებრივ, შეიძლება წარედგინოს ხელშეკრულების მონაწილე იმ სახელმწიფოს ეროვნულ საპატენტო უწყებას, რომლის მოქალაქე ან რეზიდენტიცაა განმცხადებელი. განმცხადებელს შეუძლია, აგრეთვე, წარადგინოს განაცხადი (ისმ<sup>(1)</sup>)-ს საერთაშორისო ბიუროში ჟენევაში.

თუ განმცხადებელი ხელშეკრულების იმ მონაწილე სახელმწიფოს მოქალაქე ან რეზიდენტიცაა, რომელიც ევროპის საპატენტო კონვენციის, პატენტებისა და სამრეწველო ნიმუშების შესახებ ჰარარეს ოქმის, ბანგის შეთანხმების, ან ევრაზიის საპატენტო კონვენციის მონაწილე მხარეა, საერთაშორისო განაცხადის წარდგენა დასაშვებია, აგრეთვე, ევროპის საპატენტო უწყებაში, აფრიკის რეგიონალურ სამრეწველო საკუთრების ორგანიზაციაში, აფრიკის ინტელექტუალური საკუთრების ორგანიზაციაში ან ევრაზიის საპატენტო უწყებაში, შესაბამისად.

ხელშეკრულება სრულად არეგულირებს იმ ფორმალურ მოთხოვნებს, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს საერთაშორისო განაცხადი.

PCT ხელშეკრულებით განაცხადის წარდგენა ავტომატურად ნიშნავს ყველა მონაწილე სახელმწიფოს აღნიშვნას.

საერთაშორისო განაცხადს ყველა აღნიშნულ სახელმწიფოს საპატენტო უწყებაში უშუალოდ შეტანილი ეროვნული განაცხადის ძალა აქვს.

საერთაშორისო განაცხადს უტარდება ე.წ. “საერთაშორისო ძიება”. იგი ტარდება ერთ-ერთი მოწინავე საპატენტო უწყების მიერ. შედეგები აისახება “საერთაშორისო ძიების ანგარიშში”, რომელიც წარმოადგენს იმ გამოქვეყნებულ მასალებზე მითითების ჩამონათვალს, რომელმაც შეიძლება გავლენა იქონიოს საერთაშორისო განაცხადში წარმოდგენილი გამოგონების პატენტუნარიანობაზე. დამატებით ფორმდება წინასწარი წერილობითი დასკვნა იმის შესახებ, სავარაუდოდ, აკმაყოფილებს თუ არა გამოგონება პატენტუნარიანობის კრიტერიუმებს საერთაშორისო ძიების ანგარიშზე დაყრდნობით. მას სავალდებულო ძალა არა აქვს.

საერთაშორისო ძიების ანგარიში და წერილობითი დასკვნა ეგზავნება განმცხადებელს, რომელსაც, მიღებული მასალების შესწავლისა და შეფასების შემდეგ, შეუძლია გაიწვიოს განაცხადი, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ძიების ანგარიში ან წერილობითი დასკვნა პატენტის გაცემის მიზანშეუწონლობაზე მიუთითებს ან გადაწყვიტოს განაცხადში გამოგონების ფორმულის შეცვლა.

თუკი საერთაშორისო განაცხადის გაწვევა არ მომხდარა, მაშინ ის გამოქვეყნდება საერთაშორისო ბიუროს მიერ საერთაშორისო ძიების ანგარიშთან ერთად. ამ დროს წერილობითი დასკვნა არ ქვეყნდება.

თუ განმცხადებელი გადაწყვეტს გააგრძელოს საერთაშორისო განაცხადის განხილვის პროცედურები ეროვნული ან რეგიონალური პატენტის მოპოვების მიზნით, მას შეუძლია დაელოდოს საპრიორიტეტო თარიღიდან ოცდათი თვის გასვლას და ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა უმეტესობასთან წამოიწყოს ეროვნული პროცედურები ყოველ არჩეულ უწყებაში ოფიციალურ ენაზე განაცხადის თარგმანის მიწოდებით (სადაც ეს მოითხოვება), შესაბამისი საფასურის გადახდითა და ადგილობრივი პატენტრწმუნებულის მომსახურების გამოყენებით.

თუ განმცხადებელს სურს შეიტანოს ცვლილებები განაცხადში

(მაგ., ძიების ანგარიშში დაპირისპირებულ დოკუმენტებსა და წერილობით დასკვნაში არსებული შეფასებების გათვალისწინებით), რათა მისი პოტენციური პატენტუნარიანობა გამოკვეთოს შეცვლილი განაცხადის მეშვეობით, შესაძლებელია ნებაყოფლობითი საერთაშორისო წინასწარი ექსპერტიზის გამოყენება. წინასწარი ექსპერტიზის შედეგია პატენტუნარიანობის შესახებ წინასწარი ანგარიში, რომელიც მზადდება ერთ-ერთი უფლებამოსილი საპატენტო უწყების მიერ და რომელიც შეიცავს, კიდევ ერთხელ განცხადებული გამოგონების შესახებ სავალდებულო ძალის არმქონე პირობით დასკვნას. განმცხადებელს ეს ანგარიში აძლევს უფრო მტკიცე საფუძვლებს, რომლებზე დაყრდნობითაც მას შეუძლია შეაფასოს პატენტის მიღების საკუთარი შანსები და, თუ ანგარიში მისთვის ხელსაყრელ დასკვნებს შიცავს, უფრო მეტი დარწმუნებით გააგრძელოს საერთაშორისო განაცხადის განხილვის პროცედურები ეროვნული და რეგიონალური უწყებების წინაშე.

საპატენტო კოოპერაციის ხელშეკრულების პროცედურებს აქვს დიდი უპირატესობა განმცხადებლის, საპატენტო უწყებებისა და საერთოდ საზოგადოებისათვის:

1. განმცხადებელს აქვს 18 თვე, ე.ი. უფრო მეტი, ვიდრე მას ექნებოდა PCT ხელშეკრულების გამოყენების გარეშე, მოსაფიქრებელი დრო იმ უცხო ქვეყნების შესარჩევად, რომლებშიც საპატენტო დაცვის მოთხოვნის სურვილი ექნება. მას შეუძლია ამავე პერიოდში აარჩიოს ადგილობრივი პატენტრწმუნებული უცხოეთის ყოველ ქვეყანაში, მოამზადოს საჭირო თარგმანები და გადაიხადოს საფასურები;

2. განმცხადებელს აქვს იმის გარანტია, რომ თუ მისი საერთაშორისო განაცხადი გაფორმებულია PCT ხელშეკრულებით დადგენილი სახით, მაშინ მონაწილე სახელმწიფოს საპატენტო უწყება არ ეტყვის განაცხადს უარს ფორმალური მოთხოვნების შეუსრულებლობის გამო, ეროვნულ ფაზაზე მისი განხილვისას;

3. განმცხადებელს საერთაშორისო ძიებისა და წერილობითი

დასკვნის საფუძველზე ეძლევა საშუალება მეტი საიმედოობით შეაფასოს განცხადებულ გამოგონებაზე პატენტების მიღების შანსები;

4. განმცხადებელს შესაძლებლობა აქვს ნებაყოფლობითი საერთაშორისო წინასწარი ექსპერტიზის მიმდინარეობისას, შეიტანოს ცვლილებები საერთაშორისო განაცხადში და ამგვარად მოაქციოს იგი დაწესებულ ფარგლებში, სხვადასხვა ქვეყნის საპატენტო უწყებებისათვის განსახილველად მიწოდებამდე;

5. საპატენტო უწყებების მიერ ჩასატარებელი საინფორმაციო ძიება და ექსპერტიზასთან დაკავშირებული სამუშაოები მნიშვნელოვნად შეიძლება შემცირდეს ან გამოირიცხოს კიდევ, იმ საერთაშორისო ძიების ანგარიშის, წერილობითი დასკვნისა და, შესაბამის შემთხვევაში, პატენტუნარიანობის დადგენასთან დაკავშირებული საერთაშორისო წინასწარი ექსპერტიზის ანგარიშის წყალობით, რომელიც მიეწოდება ეროვნულ ან რეგიონალურ უწყებებს საერთაშორისო განაცხადთან ერთად;

6. რადგან საერთაშორისო განაცხადი ქვეყნდება საერთაშორისო ძიების ანგარიშთან ერთად, მესამე პირებს ეძლევათ უკეთესი საშუალება, რათა ჩამოიყალიბონ კარგად დასაბუთებული მოსაზრება განცხადებული გამოგონების შესაძლო პატენტუნარიანობასთან დაკავშირებით; და

7. განმცხადებლების სასარგებლოდ საერთაშორისო გამოქვეყნება მთელ მსოფლიოს ამცნობს მათი საერთაშორისო განაცხადის არსებობას, რაც არის ეფექტური საშუალება რეკლამისა და ლიცენზიის პოტენციური შემძენის მოსაძიებლად.

საბოლოო ჯამში საპატენტო კოოპერაციის ხელშეკრულება:

- ხელმისაწვდომად ხდის მსოფლიოს;
- ახანგრძლივებს საერთაშორისო საპატენტო დაცვასთან დაკავშირებული ძირითადი საფასურების გადახდის ვადებს;
- უზრუნველყოფს მტკიცე საფუძველს პატენტის გაცემასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მისაღებად;

- გამოიყენება მსოფლიოს წამყვანი კორპორაციების, კვლევითი დაწესებულებებისა და უნივერსიტეტების მიერ, როდესაც ისინი ცდილობენ მოიპოვონ საპატენტო დაცვა საერთაშორისო დონეზე.

საპატენტო კოოპერაციის ხელშეკრულებით შექმნილია კავშირი თავისი ასამბლეით. ხელშეკრულების მონაწილე ყველა სახელმწიფო ასამბლეის წევრია.

ასამბლეამ დააწესა სპეციალური სამელავათო საშუალება:

1. იმ ფიზიკური პირების სასარგებლოდ, რომლებიც არიან მოქალაქეები და ცხოვრობენ ისეთ სახელმწიფოებში, რომელთა ეროვნული შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე 3000 აშშ დოლარზე დაბალია.

2. განმცხადებლების, როგორც იურიდიული ისე ფიზიკური პირების სასარგებლოდ, რომლებიც არიან მოქალაქეები და ცხოვრობენ ისეთ სახელმწიფოებში, რომლებიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ მიკუთვნებულია ნაკლებად განვითარებულ ქვეყანათა რიცხვს. შეღავათი გულისხმობს ხელშეკრულებით გათვალისწინებული გარკვეული საფასურების 75%-ით შემცირებას.

საპატენტო კოოპერაციის ხელშეკრულების შესახებ დაწვრილებითი ინფორმაცია განთავსებულია PCT-ს ვებგვერდზე ([www.wipo.int/pct/applicants.html](http://www.wipo.int/pct/applicants.html)), აგრეთვე, PCT-ს განმცხადებელთა სახელმძღვანელოში, რომელიც გამოიცემა OSM-ის მიერ ინგლისურ და ფრანგულ ენებზე (არსებობს აგრეთვე ჩინურ, გერმანულ და იაპონურენოვანი გამოცემებიც) და PCT-ს სიახლეების ფურცელში, რომელსაც გამოსცემს OSM ინგლისურ ენაზე.

საპატენტო კოოპერაციის ხელშეკრულება დაიდო 1970 წელს, შესწორდა 1979 წელს და შეიცვალა 1984 და 2001 წელს (სრული ტექსტი იხ. ვებგვერდზე: [www.wipo.int/treaties](http://www.wipo.int/treaties)).

ხელშეკრულება ღიაა სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენციის (1883 წ.) მონაწილე სახელმწიფოებისათვის.

რატიფიკაციის ან მიერთების სამართლებრივი აქტები დეკონი-  
რებისათვის წარედგინება (ისმ<sup>(\*)</sup>)-ს გენერალურ დირექტორს.

2009 წლის 15 იანვრისათვის საპატენტო კოოპერაციის  
ხელშეკრულება 139 მონაწილე სახელმწიფოს აერთიანებდა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად, საქართველო მიიჩნევა  
PCT-ს მონაწილედ 1991 წლის 25 დეკემბრიდან.

## სასაქონლო ნიშნების კანონმდებლობის შესახებ ხელშეკრულების ხელშეკრულება TLT (1994 წ.)

სასაქონლო ნიშნების კანონმდებლობის შესახებ ხელშეკრულების (TLT ხელშეკრულების) მიზანია სასაქონლო ნიშნების ეროვნულ და რეგიონალურ რეგისტრაციასთან დაკავშირებული პროცედურების ერთმანეთთან დაახლოება და შესაბამისობაში მოყვანა. რაც მიიღწევა ამ პროცედურების ზოგიერთ თავისებურებათა გამარტივებითა და ჰარმონიზაციით. შედეგად, სასაქონლო ნიშნების განაცხადებსა და სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული მრავალფეროვანი სამართალწარმოება ნაკლებად რთული და უფრო პროგნოზირებადი ხდება.

TLT ხელშეკრულების პროცედურების უდიდესი უმრავლესობა ეხება სასაქონლო ნიშნების უწყებასთან დაკავშირებულ პროცედურებს, რომლებიც შეიძლება დაიყოს სამ ძირითად ფაზად: განაცხადის შეტანა ნიშნის რეგისტრაციაზე, რეესტრში ცვლილებების შეტანა და რეგისტრაციის მოქმედების ვადის გაგრძელება. ყოველი ფაზის შესაბამისი წესები ისეა ჩამოყალიბებული, რომ ცხადად ჩანს, რომელი უკავშირდება განაცხადს და რომელი – სპეციფიკურ მოთხოვნებს.

პირველი ფაზის მოთხოვნებთან – რეგისტრაციაზე წარსადგენ განაცხადთან დაკავშირებით TLT ხელშეკრულება ადგენს განაცხადში შესატან იმ მონაცემთა და მითითებების ნუსხის მაქსიმუმს, რომელთა განაცხადში შეტანა შეუძლიათ მოითხოვონ ხელშეკრულების მონაწილე მხარეებმა. ეს მონაცემები და მითითებები, კერძოდ, შემდეგია: თხოვნა ნიშნის რეგისტრაციაზე; სახელი და მისამართი და განმცხადებელსა და მის წარმომადგენელთან დაკავშირებული სხვა მონაცემები; ნიშანთან დაკავშირებული სხვადასხვა მონაცემები ნიშნის გამოსახულებების გარკვეული რაოდენობის ჩათვლით; საერთაშორისო კლასიფიკაციის (ნიშნების რეგისტრაციისათვის განკუთვნილი საქონლისა და მომსახურების საერთაშორისო კლასიფიკაციის

შესახებ ნიცის შეთანხმება (1957წ.) (იხ. შესაბამისი ანოტაცია ამ სერიაში)) შესაბამისად კლასიფიცირებული საქონლისა და მომსახურების ჩამონათვალი; და, სადაც ეროვნული კანონმდებლობით მოითხოვება, განცხადება ნიშნის გამოყენების განზრახვის შესახებ. ყოველმა მონაწილემ მხარემ უნდა დაუშვას, რომ საქონელი და/ან მომსახურება ეკუთვნოდეს საერთაშორისო კლასიფიკაციის სხვა და სხვა კლასს. რამდენადაც დაშვებული მოთხოვნები ამომწურავია, მონაწილემ მხარეს არ შეუძლია მოითხოვოს, მაგალითად, რომ განმცხადებელმა წარმოადგინოს სავაჭრო რეესტრიდან ამონაწერი ან მითითება გარკვეული კომერციული საქმიანობის შესახებ, ან მტკიცებულება, რომ სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებული იყო სხვა ქვეყანაში.

მეორე ფაზასთან დაკავშირებული მოთხოვნები, რომლებსაც მოიცავს TLT ხელშეკრულება, ეხება სახელის, მისამართის და თავად მფლობელის ცვლილებას. აქვე არის, აგრეთვე, მოცემული გამოსაყენებელი ფორმალური მოთხოვნების ამომწურავი ჩამონათვალი. იმ შემთხვევაში, როდესაც მოითხოვება ცვლილების შეტანა ერთზე მეტ, შესაძლოა ასობით, სასაქონლო ნიშნის განაცხადში ან რეგისტრაციაში, საკმარისია ერთი განცხადების წარდგენა, თუ ეს ცვლილება მიეკუთვნება ყველა რეგისტრაციას ან განაცხადს.

მესამე ფაზის მოთხოვნებთან – რეგისტრაციის მოქმედების ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით TLT ხელშეკრულება რეგისტრაციის საწყისი პერიოდისა და რეგისტრაციის მოქმედების ყოველი მომდევნო გაგრძელებისათვის ათწლიან პერიოდს ადგენს.

გარდა, ამისა, TLT ხელშეკრულება ითვალისწინებს, რომ პატენტრწმუნებული შეიძლება იყოს ერთი და იმავე პირის წარმომადგენელი მისი რამდენიმე განაცხადისა და რეგისტრაციისათვის.

ხელშეკრულება ითვალისწინებს, აგრეთვე, რომ თუ განცხადება გაკეთებულია ფორმით, რომელიც შეესაბამება

TLT ხელშეკრულებაზე თანდართულს, ის უნდა იქნეს მიღებული, თუ გამოყენებულია უწყებაში დაშვებული ენა და არანაირი სხვა ფორმალობა არ უნდა მოითხოვებოდეს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ TLT ხელშეკრულება არ იძლევა ნებისმიერი ხელმოწერის დადასტურების, აუთენტიფიკაციის ან დამოწმების მოთხოვნის ნებას, გარდა რეგისტრაციაზე უარის თქმის შემთხვევისა.

TLT ხელშეკრულება (რომლის სრული ვერსია გამოქვეყნებულია ვებგვერდზე [www.wipo.int/treaties](http://www.wipo.int/treaties)) დაიდო 1994 წელს და იგი ღიაა ისმოს წევრი სახელმწიფოებისათვის და ზოგიერთი სამთავრობათაშორისო ორგანიზაციისათვის.

რატიფიკაციის და მიერთების შესახებ სამართლებრივი აქტები დეპონირებისათვის წარედგინება ისმოს გენერალურ დირექტორს. ხელშეკრულება ძალაში შევიდა 2005 წლის 28 აპრილს.

2009 წლის 15 იანვრისათვის TLT ხელშეკრულება 42 მონაწილე მხარე სახელმწიფოს აერთიანებდა.

# სინგაპურის ხელშეკრულება სასაქონლო ნიშნების კანონმდებლობის შესახებ (2006 წ.)

სასაქონლო ნიშნების კანონმდებლობის შესახებ სინგაპურის ხელშეკრულება (სინგაპურის ხელშეკრულება) მიიღეს სასაქონლო ნიშნების კანონმდებლობის შესახებ განახლებული ხელშეკრულების მიღებისადმი მიძღვნილ დიპლომატიურ კონფერენციაზე, რომელიც ჩატარდა 2006 წლის 13-28 მარტს.

სინგაპურის ხელშეკრულების მიზანია თანამედროვე და დინამიკური საერთაშორისო კონცეფციის ჩამოყალიბება სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის პროცედურების ჰარმონიზაციასთან დაკავშირებით. ახალი ხელშეკრულება, რომელიც აგებულია სასაქონლო ნიშნების კანონმდებლობის შესახებ 1994 წლის ხელშეკრულების (TLT 1994წ.) საფუძველზე, უფრო ფართო მასშტაბისაა და ითვალისწინებს ახალ მიღწევებს კომუნიკაციის ტექნოლოგიების სფეროში.

TLT 1994-საგან განსხვავებით, სინგაპურის ხელშეკრულება ძირითადად გამოიყენება ისეთი ნიშნებისათვის, რომელთა რეგისტრაციაც შეიძლება განხორციელდეს მონაწილე მხარის კანონმდებლობის მიხედვით. ძალზე მნიშვნელოვანია, რომ პირველად ხდება არატრადიციული ნიშნების პირდაპირი აღიარება საერთაშორისო აქტით, რომელიც დაკავშირებულია სასაქონლო ნიშნების კანონმდებლობასთან. ხელშეკრულება ეხება ყველა სახის ნიშანს, მათ შორის არატრადიციულ ხილულ ნიშნებს, როგორცაა ჰოლოგრაფები, სამგანზომილებიანი ნიშნები, ფერი, პოზიციური და მოძრავი ნიშნები, აგრეთვე უხილავ ნიშნებს, როგორცაა ბგერითი, ყნოსვითი ან გემოვნებითი და შეგრძნებითი ნიშნები. ასეთი ნიშნებისათვის ინსტრუქცია ითვალისწინებს მათ წარდგენას

განაცხადებით, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არაგრაფიკულ ან არაფოტოგრაფიულ რეპროდუქციებს.

სინგაპურის ხელშეკრულება მონაწილე მხარეებს უტოვებს უფლებას, აირჩიონ კომუნიკაციის ფორმა და საშუალება, კერძოდ, მიიღონ თუ არა შეტყობინებები ქალაქის მატარებლებზე, ელექტრონული სახით და სხვა სახის კომუნიკაციები. ეს აისახება განაცხადების ფორმალურ მოთხოვნებზე და ისეთ მოთხოვნებზე, როგორიცაა უწყებასთან დაკავშირებულ დოკუმენტებზე ხელის მოწერა. ეს ხელშეკრულება ძალაში ტოვებს TLT 1994-ის ძალზე მნიშვნელოვან დებულებას, სახელდობრ იმას, რომ არ უნდა მოითხოვებოდეს ქალაქის დოკუმენტებზე ნებისმიერი ხელმოწერის აუთენტიფიკაცია, სერტიფიკაცია ან დამოწმება. თუმცა, მონაწილე მხარეებს შეუძლიათ თავად გადაწყვიტონ, მოხდეს თუ არა, და როგორ მოხდეს, ელექტრონული კომუნიკაციების აუთენტიფიკაციის სისტემის დანერგვა.

ერთ-ერთი სიახლე, რომელსაც ხელშეკრულება გვთავაზობს, არის შეღავათების გათვალისწინება იმ შემთხვევაში, როდესაც განმცხადებელი ან მფლობელი ვერ იცავს პროცედურულ ვადებს. ხელშეკრულების მონაწილე მხარეები ვალდებული არიან თავიანთი შეხედულებისამებრ დაუშვან ერთი შეღავათი მაინც შემდეგიდან: ვადის გაგრძელება, პროცედურის გაგრძელება და უფლებების აღდგენა, თუკი ვადის დარღვევა მოხდა შემთხვევით ან, მოხდა სათანადო ძალისხმევის გამოყენების მიუხედავად.

სინგაპურის ხელშეკრულება მოიცავს დებულებებს სასაქონლო ნიშნების ლიცენზიების რეგისტრაციის შესახებ და აწესებს მაქსიმალურ აუცილებელ პირობებს ლიცენზიების რეგისტრაციის, შესწორებისა და გაუქმების მოთხოვნებზე.

სინგაპურის ხელშეკრულების სხვა დებულებები (როგორიცაა მრავალკლასიან განაცხადებსა და რეგისტრაციებთან და საერთაშორისო (ნიცის) კლასიფიკაციის გამოყენებასთან დაკავშირებული მოთხოვნები)

პრაქტიკულად იმეორებს TLT 1994-ის მოთხოვნებს.

ორივე ხელშეკრულება ერთმანეთისაგან დამოუკიდებელია და მათი რატიფიკაცია და მათთან მიერთება დამოუკიდებლად ხორციელდება.

სინგაპურის ხელშეკრულება აფუძნებს მონაწილე მხარეების ასამბლევას.

მონაწილე მხარეების ასამბლეის შექმნით უფრო მოქნილი ხდება იმ ადმინისტრაციული პროცედურების დეტალების განსაზღვრის მექანიზმი, რომლებიც უნდა განახორციელონ სასაქონლო ნიშნების ეროვნულმა უწყებებმა. ასამბლეა უფლებამოსილია შეცვალოს ინსტრუქციები და ტიპური საერთაშორისო ბლანკები. მას შეუძლია მოსამზადებელ დონეზე განიხილოს ხელშეკრულების სამომავლო განვითარებასთან დაკავშირებული საკითხებიც.

გარდა ამისა, დიპლომატიურმა კონფერენციამ მიიღო სასაქონლო ნიშნების კანონმდებლობის შესახებ სინგაპურის ხელშეკრულებისა და მასთან დაკავშირებული ინსტრუქციის დამატებითი რეზოლუცია, რომელშიც დეკლარირებულია მონაწილე მხარეების მიერ ხელშეკრულებით მოცემული ზოგიერთი საკითხის ერთიანი გააზრება. კერძოდ ის, რომ ხელშეკრულება მონაწილე მხარეებს არ ავალდებულებს 1) ახალი ტიპის ნიშნების რეგისტრაციას, ან 2) განაცხადის ელექტრონული წარდგენის ან სხვა ავტომატიზებული სისტემების დანერგვას. სპეციალური დებულებებია გათვალისწინებული განვითარებადი და ნაკლებად განვითარებული ქვეყნების დამატებითი ტექნიკური დახმარების შესახებ, რათა მათ შეძლონ ხელშეკრულების დებულებათა უპირატესობის სრულყოფილად გამოყენება. აღიარებულ იქნა, რომ ნაკლებად განვითარებული ქვეყნები (ოსმ<sup>(\*)</sup>-ს მონაწილე მხარეების მხრიდან ტექნიკური დახმარების უპირველესი და უმთავრესი მოსარგებლენი იქნებიან. მომავალ ასამბლევას ევალება ყოველ რიგით სესიაზე თვალყური ადევნოს და შეაფასოს დახმარების მსვლელობა; ამასთან,

გაითვალისწინოს, რომ ნებისმიერი დავა, რომელიც ხელშეკრულების ინტერპრეტაციასთან ან გამოყენებასთან დაკავშირებით აღიძვრება, უნდა გადაწყდეს მეგობრულ ატმოსფეროში, კონსულტაციისა და შუამდგომლობის საფუძველზე ოსმ(ო)-ს გენერალური დირექტორის ხელშეწყობით.

სასაქონლო ნიშნების კანონმდებლობის შესახებ სინგაპურის ხელშეკრულება (სრული ტექსტი იხ. ვებგვერდზე [www.wipo.int/treaties](http://www.wipo.int/treaties)) ღიაა ხელმოსაწერად ოსმ(ო)-ს წევრი სახელმწიფოებისათვის და ზოგიერთი სამთავრობათაშორისო ორგანიზაციისათვის 2007 წლის 27 მარტამდე.

რატიფიკაციის ან მიერთების სამართლებრივი აქტები დეკონირებისათვის წარედგინება ოსმ(ო)-ს გენერალურ დირექტორს. ხელშეკრულება ძალაში შედის ათი სახელმწიფოს ან სასაქონლო ნიშნების რეგიონალური უწყების მქონე სამთავრობათაშორისო ორგანიზაციის მიერ რატიფიკაციის ან მიერთების სამართლებრივი აქტების წარდგენიდან სამი თვის შემდეგ.

## **სტრასბურგის შეთანხმება საერთაშორისო საპატენტო კლასიფიკაციის შესახებ (1971 წ.)**

სტრასბურგის შეთანხმება აწესებს საერთაშორისო საპატენტო კლასიფიკაციას, რომელიც არსებულ ტექნოლოგიებს ყოფს რვა განყოფილებად და დაახლოებით 70000 კლასად. თითოეული კლასი აღინიშნება სიმბოლოთი, რომელიც შედგება არაბული ციფრებისა და ლათინური ანბანის ასოებისაგან.

საერთაშორისო საპატენტო კლასიფიკაციის სათანადო სიმბოლოები მიეთითება საპატენტო დოკუმენტებზე (გამოქვეყნებულ საპატენტო განაცხადებსა და გაცემულ პატენტებზე), რომელთა ყოველწლიური გამოცემების რაოდენობა 1000000-ს აღემატება. სათანადო სიმბოლოების მინიჭება ხდება ეროვნული ან რეგიონალური სამრეწველო საკუთრების უწყების მიერ, რომელიც აქვეყნებს საპატენტო დოკუმენტს.

კლასიფიკაციას უაღრესად დიდი როლი ენიჭება საპატენტო დოკუმენტებში “ტექნიკის ღონის” კვლევის ჩატარებისას. ასეთი სახის ძიება ესაჭიროება პატენტის გამცემ ორგანოებს, პოტენციურ გამომგონებლებს, კვლევით და საინჟინრო (საკონსტრუქტორო) დაწესებულებებს და სხვა ორგანიზაციებს, რომლებიც ტექნოლოგიური მიღწევების გამოყენებით ან გაუმჯობესებით არიან დაკავებულინი.

საერთაშორისო საპატენტო კლასიფიკაციას იყენებს 100-ზე მეტი სახელმწიფოს საპატენტო უწყება, ოთხი რეგიონალური უწყება და საპატენტო კოოპერაციის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული (ისმ/)-ს სამდივნო.

საერთაშორისო საპატენტო კლასიფიკაცია განუწყვეტლივ განიცდის განახლებას და ყოველ ხუთ წელიწადში ახალი რედაქცია

ქვეყნდება. ამჟამინდელი მერვე რედაქცია ძალაში შევიდა 2006 წლის 1 იანვრიდან.

განახლება ხორციელდება ექსპერტთა კომიტეტის მიერ, რომელიც ფუძნდება შეთანხმების თანახმად. ექსპერტთა კომიტეტის წევრია შეთანხმების მონაწილე ყველა სახელმწიფო.

საერთაშორისო საპატენტო კლასიფიკაციის შესახებ შეთანხმების მიხედვით იქმნება კავშირი, თავისი ასამბლეით. ასამბლეის წევრია კავშირის წევრი ყველა სახელმწიფო. ასამბლეის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა კავშირის ორწლიანი პროგრამისა და ბიუჯეტის მიღება.

შეთანხმება დაიდო 1971 წელს და შესწორდა 1979 წელს (სრული ტექსტი იხ. ვებგვერდზე: [www.wipo.int/treaties](http://www.wipo.int/treaties)).

სტრასბურგის შეთანხმება ღიაა სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენციის (1883 წ.) მხარე სახელმწიფოებისათვის.

რატიფიკაციის ან მიერთების სამართლებრივი აქტები დეკონირებისათვის წარედგინება OSM<sup>(\*)</sup>-ს გენერალურ დირექტორს.

2009 წლის 15 იანვრისათვის სტრასბურგის შეთანხმება 59 მხარე სახელმწიფოს აერთიანებდა.

# ჰააგის შეთანხმება საერთაშორისო რეგისტრაციის რეგისტრაციის შესახებ (1925 წ.)

ამჟამად ძალაშია ჰააგის შეთანხმების სამი: 1934, 1960 და 1999 წლების აქტები.

საერთაშორისო რეგისტრაციის მოპოვების უფლება აქვს ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რომელიც არის მოქალაქე, აქვს მოქმედი სამრეწველო ან კომერციული საწარმო, მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, ან 1999 წლის აქტის თანახმად, ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილი რომელიმე ან სამივე აქტის მონაწილე მხარის ტერიტორიაზე.

საერთაშორისო რეგისტრაცია შეიძლება რეგულირდებოდეს 1934, 1960, ან 1934 წლის აქტებით ან ნებისმიერი მათი კომბინაციით იმის შესაბამისად, თუ რომელ მხარე სახელმწიფოსთან აქვს განმცხადებელს ზემოთ აღნიშნული კავშირი (შემდგომში – “წარმოშობის მხარე სახელმწიფო”).

ამჟამად საერთაშორისო რეგისტრაციის 99%-ზე მეტი რეგულირდება 1999 წლის ან 1960 წლის აქტებით.

## 1960 და 1999 წლის აქტები

სამართლებრივი დაცვის სისტემა, რომელიც შეესაბამება 1960 ან 1999 წლის აქტებს, შეიძლება გადმოიცეს შემდეგნაირად: სამრეწველო ნიმუშების საერთაშორისო რეგისტრაციის მოთხოვნა შეიძლება OSM-ს საერთაშორისო ბიუროსაგან, უშუალოდ ან წარმოშობის მხარე სახელმწიფოს სამრეწველო საკუთრების უწყების მეშვეობით, ამ მხარე სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად.

საერთაშორისო რეგისტრაცია ეფუძნება განაცხადს და

სამრეწველო ნიმუშის ერთ ან რამდენიმე ფოტოსურათს ან სხვა გრაფიკულ გამოსახულებას. განაცხადი უნდა შეიცავდეს მონაწილე მხარეების ჩამონათვალს, რომლებზეც უნდა გავრცელდეს საერთაშორისო რეგისტრაცია, და ნაკეთობის ან ნაკეთობების მითითებას, რომელში ჩასართავად ან რომელზე დასატანადაც არის გამიზნული სამრეწველო ნიმუში. საერთაშორისო რეგისტრაციის მოქმედება შიძლება გავრცელდეს წარმოშობის მხარე სახელმწიფოზეც, თუ ამ უკანასკნელის კანონმდებლობა სხვაგვარ წესს არ ითვალისწინებს. განაცხადის შედგენა დასაშვებია ინგლისურ ან ფრანგულ ენაზე.

სამრეწველო ნიმუშების ფოტოსურათები ან სხვა გრაფიკული გამოსახულებები, მიწოდებული განმცხადებლის მიერ ქვეყნდება საერთაშორისო სამრეწველო ნიმუშების ბიულეტენში, რომელიც გამოიცემა ყოველთვიურად CD-ROM-ზე და გამოიფინება ინტერნეტში. სურვილისამებრ, განმცხადებელს შეუძლია მის მიერ მითითებულ მხარეთა კანონმდებლობის გათვალისწინებით, მოთხოვოს გამოქვეყნების გადადება არა უმეტეს 30 თვიანი ვადით, საერთაშორისო რეგისტრაციის თარიღიდან, ან, თუ მოთხოვნილია პრიორიტეტი, პრიორიტეტის თარიღიდან.

საერთაშორისო რეგისტრაციას, განმცხადებლის მიერ მითითებულ შეთანხმების თითოეული მხარე სახელმწიფოს ტერიტორიაზე აქვს ისეთვე მოქმედების ძალა, როგორც უშუალოდ ეროვნულ უწყებაში რეგისტრაციას, თუ ამ ქვეყნის ეროვნული კანონით დაცვის მინიჭებისათვის დადგენილი ყველა ფორმალური მოთხოვნა შეასრულა განმცხადებელმა და ყველა საამისოდ საჭირო ადმინისტრაციული ქმედება დაასრულა ამ სახელმწიფომ.

განმცხადებლის მიერ მითითებული შეთანხმების თითოეულ მხარეს შეუძლია უარი თქვას დაცვის მინიჭებაზე საერთაშორისო რეგისტრაციის გამოქვეყნების თარიღიდან 6 თვის, ან, 1999 წლის აქტის მიხედვით შესაძლო 12 თვის ვადაში. დაცვის მინიჭებაზე უარი

შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ ფორმალური მოთხოვნებისაგან განსხვავებულ ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნებს და ადმინისტრაციული ქმედებები უნდა განხორციელდეს შეთანხმების იმ მხარე სახელმწიფოს უწყების მიერ, რომელიც უარს ამბობს დაცვის მინიჭებაზე.

დაცვის ვადა განისაზღვრება 5 წლით საერთაშორისო რეგისტრაციის თარიღიდან და მისი გაგრძელება შესაძლებელია არანაკლებ: 1960 წლის აქტით, ერთხელ 5 წლით, და ორი ასეთი პერიოდით 1999 წლის აქტით.

თუ შეთანხმების მხარე სახელმწიფოს კანონი ითვალისწინებს სამრეწველო ნიმუშის უფრო ხანგრძლივ დაცვას, დაცვის ვადა სამრეწველო ნიმუშისათვის საერთაშორისო რეგისტრაციის საფუძველზე ამ მონაწილე მხარე სახელმწიფოს ტერიტორიაზე შესაძლებელია გაგრძელდეს დაცვის ვადის ამოწურვამდე.

### **1934 წლის აქტი**

1934 წლის აქტს დაქვემდებარებული საერთაშორისო რეგისტრაციის ძირითადი განსხვავება საერთაშორისო რეგისტრაციისაგან, რომელიც სრულად ან ნაწილობრივ რეგულირდება 1960 ან 1999 წლის აქტით, არის შემდეგი:

- რეგისტრაცია ვრცელდება ავტომატურად 1934 წლის აქტის ყველა მხარე სახელმწიფოზე, გარდა სახელმწიფოებისა, რომლებმაც გარკვევით თქვეს უარი დაცვის მინიჭებაზე.
- რეგისტრაცია შეიძლება იყოს ღია ან დალუქული.
- გამოქვეყნება არ შეიცავს სამრეწველო ნიმუშების გამოსახულებას. ის უბრალოდ მიუთითებს ნაკეთობას ან ნაკეთობებზე, რომლებშიც ჩართულია სამრეწველო ნიმუში.
- დაცვის ვადა 15 წელია, ის მოიცავს საწყის 5 წლიან პერიოდს, რომელიც შეიძლება გაგრძელდეს მომდევნო 10 წლით.
- არ არსებობს უარის თქმის შეტყობინების მოთხოვნა. რეგისტრაცია

უნდა მოხდეს ფრანგულ ენაზე.

## **ზოგადი სწოება**

ჰააგის შეთანხმების გამოყენებულთა საქმიანობის გაიოლების მიზნით ოსმ(ო)-ს სამდივნო აქვეყნებს სახელმძღვანელოს სამრეწველო ნიმუშების საერთაშორისო რეგისტრაციისათვის.

ჰააგის შეთანხმება დაიდო 1925 წელს, გადაისინჯა ლონდონში 1934 წელს და ჰააგაში – 1960 წელს. ის შეივსო დამატებითი აქტით, რომელსაც ხელი მოეწერა მონაკოში 1961 წელს და შემდგომი აქტით, რომელიც ხელმოწერილია სტოკჰოლმში 1967 წელს და შესწორდა 1979 წელს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შემდგომი აქტი მიიღეს ფენევაში 1999 წელს.

ჰააგის შეთანხმებით დაარსდა კავშირი, რომელსაც 1970 წლიდან გააჩნია ასამბლეა. კავშირის წევრი ყველა სახელმწიფო, რომელიც მიუერთდა სტოკჰოლმის შემდგომ აქტს, ასამბლეის წევრია. ასამბლეის მნიშვნელოვან ამოცანათა შორის არის ორწლიანი პროგრამისა და ბიუჯეტის მიღება და ინსტრუქციაში ცვლილებების შეტანა, ჰააგის სისტემის გამოყენებასთან დაკავშირებული საფასურების დადგენის ჩათვლით.

შეთანხმების 1960 წლისა და 1934 წლის აქტები (სრული ტექსტი იხ. ვებგვერდზე: [www.wipo.int/treaties](http://www.wipo.int/treaties)) ღიაა სამრეწველო საკუთრების დაცვის შესახებ პარიზის კონვენციის (1883 წ.) მხარე სახელმწიფოებისათვის. 1999 წლის აქტი ღიაა ოსმ(ო)-ს წევრი სახელმწიფოებისა და ზოგიერთი სამთავრობათაშორისო ორგანიზაციისათვის.

რატიფიკაციის ან მიერთების სამართლებრივი აქტები დეპონირებისათვის წარედგინება ოსმ(ო)-ს გენერალურ დირექტორს.

2009 წლის 15 იანვრისათვის ჰააგის შეთანხმება 55 მონაწილე მხარეს აერთიანებდა. საქართველო შეთანხმებას მიუერთდა 2003 წლის 1 აგვისტოს.

# ბერნის კონვენცია ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოების დაცვის შესახებ (1886 წ.)

კონვენცია ეყრდნობა სამ ძირითად პრინციპს და შეიცავს რიგ დებულებებს, რომლებიც განსაზღვრავს დაცვის მინიჭების მინიმალურ სტანდარტებსა და იმ სპეციალურ დებულებებს, რომლებიც განკუთვნილია განვითარებადი ქვეყნებისათვის, თუ მათ სურთ ამ დებულებებით სარგებლობა.

(1) ეს სამი ძირითადი პრინციპია:

ა) კავშირის ერთ-ერთ ქვეყანაში შექმნილ ნაწარმოებს (ეს არის ნაწარმოები, რომლის ავტორი არის კავშირის წევრი ქვეყნის მოქალაქე ან ნაწარმოები, რომელიც პირველად გამოქვეყნდა ასეთ ქვეყანაში) კავშირის წევრ ყველა სხვა ქვეყანაში უნდა ჰქონდეს ისეთივე დაცვა, როგორსაც ეს ქვეყნები ანიჭებენ საკუთარ მოქალაქეებს (“ეროვნული რეჟიმის” პრინციპი)<sup>1</sup>.

ბ) ნაწარმოებზე უფლებების წარმოშობა დამოკიდებული არ არის ფორმალური პირობებისა და პროცედურების შესრულებაზე. დაცვის მინიჭება ხდება ავტომატურად და არ არის დაკავშირებული რეგისტრაციასთან, შესანახად გადაცემასა და სხვა მსგავს ფორმალობებთან (“ავტომატური” დაცვის პრინციპი)<sup>2</sup>.

გ) საავტორო უფლებების არსებობა და მათი გამოყენება არ

1 ინტელექტუალური საკუთრების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ” შეთანხმების (TRIPS-ის შეთანხმება) თანახმად “ეროვნული რეჟიმის”, “ავტომატური დაცვის” და “დაცვის დამოუკიდებლობის” პრინციპები სავალდებულოა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის იმ წევრი სახელმწიფოებისთვისაც, რომლებიც არ არიან ბერნის კონვენციის მონაწილეები. ამასთან, TRIPS-ს შეთანხმება აწესებს სავალდებულო “უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმს”, რომლის თანახმადაც ნებისმიერი შედავათი და უპირატესობა, რომელსაც წევრი ქვეყანა ანიჭებს ნებისმიერი სხვა ქვეყნის მოქალაქეებს, დაუყოვნებლივ და უპირობოდ ვრცელდება “WTO”-ს წევრი ყველა სახელმწიფოს მოქალაქეებზე.

2 იხ. 1

არის დამოკიდებული დაცვის არსებობაზე ნაწარმოების წარმოშობის ქვეყანაში (“დაცვის დამოუკიდებლობის” პრინციპი)<sup>3</sup>. თუმცა, თუ ხელშეკრულების მონაწილე რომელიმე სახელმწიფო საავტორო უფლებების მოქმედების კონვენციით გათვალისწინებულ ვადაზე უფრო ხანგრძლივ ვადას ითვალისწინებს, დაცვაზე შეიძლება უარი ითქვას მას შემდეგ, რაც დაცვის ვადა ამოიწურება ნაწარმოების წარმოშობის ქვეყანაში.

(2) დაცვის მინიმალური სტანდარტები ეხება დაცულ ნაწარმოებებს, ავტორის უფლებებს ნაწარმოებზე და დაცვის ხანგრძლივობას:

ა) საავტორო უფლებებით დაცულ ნაწარმოებებს წარმოადგენს ნებისმიერი ნაწარმოები ლიტერატურის, მეცნიერებისა და ხელოვნების სფეროში, მიუხედავად მისი გამოხატვის ხერხისა და ფორმისა.

ბ) გარკვეული ნებადართული დათქმების, შეზღუდვებისა და გამონაკლისების გათვალისწინებით, სხვა უფლებებს შორის შემდეგი განსაკუთრებული უფლებები უნდა იქნეს აღიარებული:

- თარგმნის უფლება;
- ნაწარმოების ადაპტირებისა და მუსიკალური არანჟირების უფლება;
- დრამატული, დრამატულ-მუსიკალური და მუსიკალური ნაწარმოებების ნებისმიერი საშუალებით ან ხერხით საჯაროდ შესრულების უფლება;
- ლიტერატურის ნაწარმოებების საჯაროდ წაკითხვის უფლება;
- ასეთი ნაწარმოებების შესრულების ნებისმიერი საშუალებით ან ხერხით საჯარო გადაცემის უფლება;
- ეთერით, ან საჯარო გადაცემის ნებისმიერი სხვა სადენიანი თუ უსადენო საშუალებით საჯარო გადაცემის უფლება (სადაც ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოს შესაძლებლობა ეძლევა, გაითვალისწინოს სათანადო ანაზღაურების უფლება ნებართ-

---

3 იხ. 1

ვის უფლების სანაცვლოდ);

- ნაწარმოების ნებისმიერი სახით ან ფორმით რეპროდუცირების უფლება (კავშირის წევრ სახელმწიფოს უფლება აქვს კანონმდებლობით გაითვალისწინოს ნაწარმოების ავტორის თანხმობის გარეშე რეპროდუცირების შემთხვევები იმ პირობით, რომ რეპროდუცირება მოხდება განსაკუთრებულ შემთხვევებში, რეპროდუცირება არ შეუძლის ხელს ნაწარმოების ჩვეულებრივ (ნორმალურ) გამოყენებას და რეპროდუცირება არ შელახავს ნაწარმოების ავტორის კანონიერ ინტერესებს. ამასთან, კავშირის წევრ სახელმწიფოს უფლება აქვს მუსიკალური ნაწარმოების ხმოვანი ჩანაწერის რეპროდუცირების შემთხვევაში, გაითვალისწინოს ავტორის მიერ შესაბამისი ანაზღაურების მოთხოვნის უფლება);
- ნაწარმოების გამოყენების უფლება აუდიოვიზუალური ნაწარმოების საფუძვლად და ამ აუდიოვიზუალური ნაწარმოების რეპროდუცირების, გავრცელების, საჯარო შესრულებისა და საჯარო გაცნობის უფლება<sup>4</sup>.

კონვენცია ასევე ითვალისწინებს ნაწარმოების ავტორის არაქონებრივ უფლებებს, კერძოდ: ნაწარმოების ავტორობის უფლებას და ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლებას, რაც გულისხმობს ავტორის უფლებას არ დაუშვას ნაწარმოების ნებისმიერი გაუკუღმართება, დანაწევრება, დამახინჯება ან სხვაგვარი ცვლილება, აგრეთვე ამ ნაწარმოების ნებისმიერი სხვა სახით შელახვა, რამაც შესაძლოა ზიანი მიაყენოს ავტორის ღირსებას ან რეპუტაციას.

გ) რაც შეეხება დაცვის ხანგრძლივობას, ზოგადი წესის თანახმად, დაცვა გრძელდება ავტორის გარდაცვალებიდან არანაკლებ 50 წლის ამოწურვამდე, თუმცა არსებობს გამონაკლისები ამ ზოგადი წესიდან. ანონიმური ან ფსევდონიმური ნაწარმოებებისათვის დაცვის

<sup>4</sup> TRIPS-ის შეთანხმების თანახმად, გაქირავების განსაკუთრებული უფლება უნდა გავრცელდეს კომპიუტერულ პროგრამებსა და, განსაზღვრული პირობების გათვალისწინებით, აუდიოვიზუალურ ნაწარმოებებზე.

ვადა იწურება 50 წლის შემდეგ იმ მომენტიდან, რაც ნაწარმოები კანონიერად გახდა ხელმისაწვდომი საზოგადოებისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ფსევდონიმთან ავტორის იდენტიფიცირება არავითარ ეჭვს არ იწვევს, ან როდესაც ავტორი თავის ვინაობას ამ პერიოდში ამჟღავნებს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, ზოგადი წესი გამოიყენება. აუდიოვიზუალური (კინემატოგრაფიული) ნაწარმოებების შემთხვევაში დაცვის მინიმალური ვადაა 50 წელი ნაწარმოების საჯარო გაცნობიდან (“გამოშვებიდან”) ან, თუ ნაწარმოები არ გახდა საჯაროდ ხელმისაწვდომი, – ნაწარმოების შექმნიდან. გამოყენებითი ხელოვნებისა და ფოტოგრაფიული ნაწარმოებების დაცვის მინიმალური ვადაა 25 წელი ნაწარმოების შექმნიდან<sup>5</sup>.

(3) განვითარებად ქვეყნებს, გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეის მიერ დადგენილი პრაქტიკის თანახმად, თარგმნის უფლებასა და რეპროდუცირების უფლებასთან დაკავშირებით გარკვეული სახის ნაწარმოებებისათვის და გარკვეულ პირობებში შეიძლება არ შეეხოს დაცვის ზემოაღნიშნული მინიმალური სტანდარტები.

ბერნის კავშირს გააჩნია ასამბლეა და აღმასრულებელი კომიტეტი. ასამბლეის წევრია გაერთიანების წევრი ყველა ის ქვეყანა, რომელიც მიერთებულია სტოკჰოლმის აქტის ადმინისტრაციულ და დასკვნით დებულებებთან მაინც.

აღმასრულებელი კომიტეტის წევრების არჩევა ხდება გაერთიანების წევრთაგან. გამონაკლისია შვეიცარია, რომელიც *ex officio* წევრია. 2009 წლის 15 იანვრისათვის ბერნის კონვენციის წევრი სახელმწიფოების რაოდენობამ 164 შეადგინა, აღმასრულებელი კომიტეტის წევრთა რაოდენობამ კი – 40.

ბერნის კავშირის მიმართ ორწლიანი პროგრამისა და OSM(-)ს სამდივნოს ბიუჯეტის დადგენა ასამბლეის ფუნქციას წარმოადგენს.

ბერნის კონვენცია დაილო 1886 წელს, გადაისინჯა პარიზში

5 TRIPS-ის შეთანხმების თანახმად, დაცვის ნებისმიერი ვადა, რომელიც არ გამოითვლება ფიზიკური პირის სიცოცხლის მიხედვით, არ უნდა იყოს 50 წელზე ნაკლები.

1896 წელს და ბერლინში – 1908 წელს, დასრულდა ბერნში 1914 წელს, გადაისინჯა რომში 1928 წელს, ბრიუსელში – 1948 წელს, სტოკჰოლმში – 1967 წელს და პარიზში – 1971 წელს, ხოლო შესწორდა 1979 წელს (სრული ტექსტი იხ. ვებგვერდზე: [www.wipo.int/treaties](http://www.wipo.int/treaties)).

რატიფიკაციის ან მიერთების სამართლებრივი აქტები დეკონირებისათვის წარედგინება OSM<sup>(\*)</sup>-ს გენერალურ დირექტორს.<sup>6,7</sup>

საქართველო კონვენციას მიუერთდა 1995 წლის 16 მაისს.

---

6 უნდა აღინიშნოს, რომ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოები, თუნდაც ისინი არ იყვნენ ბერნის კონვენციის მონაწილეები, ვალდებული არიან შეასრულონ ბერნის კონვენციის მატერიალური ნაწილის ნორმები. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრი ისეთი სახელმწიფოებისათვის, რომლებიც არ არიან ბერნის კონვენციის მონაწილეები, ბერნის კონვენციით გათვალისწინებული არაქონებრივი უფლებების შესახებ ნორმების შესრულება სავალდებულო არ არის.

7 აღსანიშნავია, რომ განვითარებად ქვეყნებს TRIPS-ის შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების გადადება შეუძლიათ 2013 წლის 1 ივლისამდე (მ. 65).

# ბრიუსელის კონვენცია თანამგზავრით გადასემული პროგრამის მატარებელი სიგნალების გააცემების შესახებ (1974 წ.)

კონვენციის თანახმად ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოებს ევალებათ ადეკვატური ზომების მიღება მათ ტერიტორიაზე ან მათი ტერიტორიიდან თანამგზავრით გადაცემული პროგრამის მატარებელი სიგნალის უნებართვო გავრცელების აღსაკვეთად. გავრცელება უნებართვოდ ითვლება, როდესაც მასზე არ არის გაცემული ნებართვა იმ ორგანიზაციის, ჩვეულებრივ, სამაუწყებლო ორგანიზაციის მიერ, რომელიც გადაწყვეტს, თუ რისგან შედგება პროგრამა. ზემოაღნიშნული ვალდებულება ეხება იმ ორგანიზაციებს, რომლებიც ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოს ეკუთვნის (სრული ტექსტი იხ. ვებგვერდზე: [www.wipo.int/treaties](http://www.wipo.int/treaties)).

კონვენციის დებულებები არ გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც სიგნალების გავრცელება პირდაპირ სამაუწყებლო თანამგზავრით ხორციელდება.

კონვენცია არ ითვალისწინებს გაერთიანების, მმართველი ორგანოს ან ბიუჯეტის დაწესებას.

კონვენცია ღიაა ყველა იმ სახელმწიფოსათვის, რომელიც გაერთიანებული ერების, ან სხვა ისეთი სააგენტოების წევრია, რომლებიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციების სისტემას მიეკუთვნება.

რატიფიკაციის, მიღების ან მიერთების სამართლებრივი აქტები დეპონირებისათვის წარედგინება გაერთიანებული ერების გენერალურ მდივანს.

2009 წლის 15 იანვრისათვის ბრიუსელის კონვენცია 33 მონაწილე მხარეს აერთიანებდა.

# ისმო-ს ხელშეკრულება საავტორო უფლებების შესახებ WCT (1996 წ.)

აღნიშნული ხელშეკრულება წარმოადგენს ბერნის კონვენციის ფარგლებში მოქმედ სპეციალურ შეთანხმებას. მისი მონაწილე ყველა სახელმწიფო (თუნდაც ის არ იყოს ბერნის კონვენციის წევრი) ვალდებულია დააკმაყოფილოს 1888 წლის ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის შესახებ ბერნის კონვენციის პარიზის 1971 წლის აქტის მატერიალური ნორმები.

ხელშეკრულება დამატებით ითვალისწინებს საავტორო უფლებით ორი სახის ობიექტის დაცვას. ესენია: 1) კომპიუტერული პროგრამები, მიუხედავად მათი გამოსახვის ხერხისა და ფორმისა და 2) მონაცემებისა და სხვა მასალების (მონაცემთა ბაზების) კომპილაცია ნებისმიერი ფორმით, რაც მათი შინაარსის შერჩევის ან განლაგების გამო წარმოადგენს ინტელექტუალური შემოქმედების შედეგს. (თუ მონაცემთა ბაზა არ წარმოადგენს ინტელექტუალური შემოქმედების შედეგს, მაშინ ის სცილდება ხელშეკრულების დაცვის ფარგლებს).

რაც შეეხება ავტორთა უფლებებს, ხელშეკრულება დამატებით განიხილავს: 1) გავრცელების უფლებას; 2) გაქირავების უფლებას და 3) ნაწარმოების საჯარო გაცნობის უფლებას. თითოეული ეს უფლება წარმოადგენს განსაკუთრებულ უფლებას, გარკვეული შეზღუდვებისა და გამონაკლისების გათვალისწინებით.

გავრცელების უფლება წარმოადგენს ნაწარმოების ორიგინალის ან ასლების საჯაროდ ხელმისაწვდომობაზე ნებართვის მიცემის უფლებას საკუთრების უფლების გაყიდვის ან სხვაგვარად გადაცემის გზით.

გაქირავების უფლება წარმოადგენს სამი სახის ნაწარმოების

ორიგინალის ან ასლების საზოგადოებისათვის კომერციული მიზნით გაქირავებაზე ნებართვის მიცემის უფლებას. ეს ნაწარმოებებია: 1) კომპიუტერული პროგრამები (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კომპიუტერული პროგრამა თავისთავად არ წარმოადგენს გაქირავების არსებით ობიექტს); 2) კინემატოგრაფიული ნაწარმოებები (მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც კომერციული გაქირავების გამო ნაწარმოებების რეპროდუცირება ფართოდ გავრცელდა და არსებითად იქნა შელახული რეპროდუცირების განსაკუთრებული უფლება, 3) ნაწარმოებები, რომლებიც მატერიალიზებულია ფონოგრამებში, როგორც ეს ხელშეკრულების მონაწილე მხარეების ეროვნულ კანონმდებლობაშია განსაზღვრული (გარდა იმ ქვეყნებისა, სადაც ასეთი გაქირავებისათვის სათანადო ანაზღაურების სისტემა ამოქმედდა 1994 წლის 15 აპრილამდე და ჯერ კიდევ აგრძელებს მოქმედებას).

საჯარო გაცნობის უფლება წარმოადგენს საჯაროდ სადენიანი ან უსადენო კავშირგაბმულობის საშუალებებით ნაწარმოების გადაცემაზე ნებართვის მიცემის უფლებას, მათ შორის – “ნაწარმოებების საჯაროდ ხელმისაწვდომობაზე ნებართვის მიცემის უფლებას, როდესაც ნებისმიერ პირს მიუწვდება ხელი ნაწარმოებზე მისთვის სასურველი ადგილიდან და მისთვის სასურველ დროს”. ეს უკანასკნელი, კერძოდ, გულისხმობს ინტერაქტიული გზით ხელმისაწვდომობას, ინტერნეტის საშუალებით, მომხმარებლის მოთხოვნის შესაბამისად.

ხელშეკრულება მონაწილე მხარეებს ავალდებულებს, ეროვნული კანონმდებლობით გაითვალისწინონ სანქციები იმ ტექნოლოგიური საშუალებების (მაგ., დაშიფვრის) გვერდის ავლის წინააღმდეგ, რომელიც გამოიყენება ავტორების მიერ უფლებებით სარგებლობასთან დაკავშირებით და ისეთი ინფორმაციის გადაკეთების ან წაშლის საწინააღმდეგოდ, როგორცაა ნაწარმოების ავტორთა იდენტიფიცირების მონაცემები, რომლებიც საჭიროა მათი უფლებების (მაგ., ლიცენზირების, ჰონორარების ამოღებისა და განაწილების) მართვისათვის (უფლებების მართვისათვის განკუთვნილი ინფორმაცია).

ხელშეკრულება თითოეულ მონაწილე მხარეს ავალდებულებს ისეთი სამართლებრივი ღონისძიებების გატარებას, როგორც უზრუნველყოფს ხელშეკრულების ამოქმედებას. კერძოდ: მონაწილე მხარისათვის სავალდებულოა ეროვნული კანონმდებლობით გაითვალისწინოს უფლებების განხორციელების ეფექტური პროცედურები ხელშეკრულებით გათვალისწინებულ უფლებათა დარღვევის აღსაკვეთად. აღნიშნული პროცედურები უნდა შეიცავდეს სასწრაფო ღონისძიებების გატარების შესაძლებლობას დარღვევის აღსაკვეთად და ღონისძიებებს, რომლებიც შემდგომ დარღვევებს შეაჩერებს.

ხელშეკრულების საფუძველზე იქმნება მონაწილე მხარეების ასამბლეა, რომლის მთავარი ამოცანაა ხელშეკრულების განხორციელებასა და განვითარებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა. ასამბლეა ხელშეკრულებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული საკითხების განხილვას ანდობს (სმ(ო)-ს სამდივნოს.

ხელშეკრულება ღიაა (სმ(ო)-სა და ევროგაერთიანების წევრი სახელმწიფოებისათვის. ხელშეკრულების საფუძველზე ჩამოყალიბებულ ასამბლეას შეუძლია ხელშეკრულებაში გასაწევრიანებლად სხვა სამთავრობათაშორისო ორგანიზაციებსაც უხმოს.

რატიფიკაციის ან მიერთების სამართლებრივი აქტები დეპონირებისათვის წარედგინება (სმ(ო)-ს გენერალურ დირექტორს.

ხელშეკრულება დაიდო 1996 წლის 20 დეკემბერს ჟენევაში (სრული ტექსტი იხ. ვებგვერდზე: [www.wipo.int/treaties](http://www.wipo.int/treaties)).

2009 წლის აპრილის მონაცემებით, (სმ(ო)-ს ხელშეკრულება 71 მონაწილე მხარეს აერთიანებს.

საქართველო ხელშეკრულებას მიუერთდა 2002 წლის 6 მარტს.

## **ისმო-ს ხელშეკრულება** **შესრულებებისა და ფონოგრაფების შესახებ** **WPPT (1996 წ.)**

ხელშეკრულება ეხება ინტელექტუალური საკუთრების უფლებების მფლობელთა ორ კატეგორიას: 1) შემსრულებლებს (მსახიობებს, მოძღვრებს, მუსიკოსებს და ა.შ.) და 2) ფონოგრამების მწარმოებლებს (ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს, რომლებიც ინიციატივას იჩენენ და პასუხისმგებლობას იღებენ ხმის ჩანაწერის ფიქსაციაზე).

ეს კატეგორიები ერთსა და იმავე ჩარჩოებში განიხილება, ვინაიდან იმ უფლებების უმეტესობა, რომლებიც ხელშეკრულებით მინიჭებული აქვთ შემსრულებლებს, წარმოადგენს იმ უფლებებს, რომლებიც დაკავშირებულია წმინდა ხმოვან ჩანაწერებთან (რომლებიც ფონოგრამების ობიექტს წარმოადგენს).

რაც შეეხება შემსრულებლებს, ხელშეკრულება მათ ოთხი სახის ქონებრივ უფლებას ანიჭებს ფონოგრამაზე დაფიქსირებული შესრულებებისათვის (აქ არ იგულისხმება აუდიოვიზუალური ჩანაწერები, მაგალითად, მოძრავი გამოსახულებები). ესენია: 1) რეპროდუცირების უფლება, 2) გავრცელების უფლება, 3) გაქირავების უფლება და 4) ნაწარმოების ხელმისაწვდომად გახდის უფლება. თითოეული მათგანი წარმოადგენს განსაკუთრებულ უფლებას გარკვეული შეზღუდვებისა და გამონაკლისების გათვალისწინებით.

რეპროდუცირების უფლება გულისხმობს ფონოგრამის ნებისმიერი სახით ან ფორმით პირდაპირ ან ირიბ რეპროდუცირებაზე ნებართვის მიცემის უფლებას.

გავრცელების უფლება გულისხმობს ფონოგრამის ორიგინალის ან ასლების საჯაროდ ხელმისაწვდომობაზე ნებართვის მიცემის უფლებას საკუთრების უფლების გაყიდვის ან სხვაგვარად

გადაცემის გზით.

გაქირავების უფლება წარმოადგენს ფონოგრამის ორიგინალის ან ასლების საჯაროდ კომერციულ გაქირავებაზე ნებართვის მიცემის უფლებას, როგორც ეს ხელშეკრულების მონაწილე მხარეების ეროვნულ კანონმდებლობაშია განსაზღვრული (გარდა იმ ქვეყნებისა, სადაც ასეთი გაქირავებისათვის სათანადო ანაზღაურების სისტემა ამოქმედდა 1994 წლის 15 აპრილამდე და ჯერ კიდევ აგრძელებს მოქმედებას). ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის უფლება წარმოადგენს სადენიანი ან უსადენო საშუალებებით იმ შესრულებებისა საჯაროდ ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას, რომლებიც ფონოგრამაზე ისეა დაფიქსირებული, რომ პირებს მათზე ხელი მიუწვდებოდეთ მათთვის სასურველი ადგილიდან და მათთვის სასურველ დროს. ეს უკანასკნელი, კერძოდ, გულისხმობს ინტერნეტის საშუალებით, მომხმარებლის მოთხოვნის შესაბამისად, ინტერაქტიული გზით ხელმისაწვდომობას.

ხელშეკრულებით შემსრულებლებს თავიანთი დაუფიქსირებელი (ცოცხალი) შესრულებისათვის ეძლევათ სამი სახის ქონებრივი უფლება: 1) ეთერში გადაცემის უფლება (გარდა ხელახალი მაუწყებლობის შემთხვევისა), 2) საჯაროდ გადაცემის უფლება (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შესრულება ეთერში გადაიცემა) და 3) შესრულების ფიქსაციის უფლება.

ხელშეკრულებით შემსრულებლებს ეძლევათ, აგრეთვე, არაქონებრივი უფლებები: შემსრულებლის სახით იდენტიფიცირების მოთხოვნის უფლება და შესრულების ნებისმიერი იმგვარი დამახინჯების ან მოდიფიცირების აკრძალვის უფლება, როგორსაც შეუძლია შემსრულებლის რეპუტაციის შელახვა.

რაც შეეხება ფონოგრამების მწარმოებლებს, ხელშეკრულებით მათ ეძლევათ ოთხი სახის უფლება მათ ფონოგრამებთან დაკავშირებით: 1) რეპროდუცირების უფლება; 2) გავრცელების უფლება; 3) გაქირავების უფლება და 4) ფონოგრამის ხელმისაწვდომად გახდომის

უფლება. თითოეული მათგანი წარმოადგენს განსაკუთრებულ უფლებას, გარკვეული შეზღუდვებისა და გამონაკლისების გათვალისწინებით.

რეპროდუცირების უფლება წარმოადგენს ნებისმიერი ხერხით ან ფორმით ფონოგრამის პირდაპირ ან არაპირდაპირ რეპროდუცირებაზე ნებართვის გაცემის უფლებას;

გავრცელების უფლება წარმოადგენს ფონოგრამის ორიგინალისა და ასლების საჯაროდ ხელმისაწვდომობაზე ნებართვის მიცემის უფლებას საკუთრების უფლების გაყიდვის ან სხვაგვარად გადაცემის გზით;

გაქირავების უფლება წარმოადგენს ფონოგრამის ორიგინალისა და ასლების საჯარო კომერციულ გაქირავებაზე ნებართვის მიცემის უფლებას, როგორც ეს ხელშეკრულების მონაწილე მხარეების ეროვნულ კანონმდებლობაშია განსაზღვრული (გარდა იმ ქვეყნებისა, სადაც ასეთი გაქირავებისათვის სათანადო ანაზღაურების სისტემა ამოქმედდა 1994 წლის 15 აპრილამდე და ჯერ კიდევ აგრძელებს მოქმედებას).

ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის უფლება წარმოადგენს სადენიანი ან უსადენო კავშირგაბმულობის საშუალებებით ფონოგრამის საჯაროდ ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე ნებართვის მიცემის უფლებას იმგვარად, რომ საზოგადოების წევრებს ფონოგრამაზე ხელი მიუწვდებოდეთ მათ მიერ შერჩეული ადგილიდან და მათთვის სასურველ დროს. ეს უფლება გულისხმობს, კერძოდ, ინტერნეტის მეშვეობით, მოთხოვნისამებრ, ინტერაქტიული გზით ხელმისაწვდომობას.

რაც შეეხება ორივეს – შემსრულებლებსა და ფონოგრამის მწარმოებლებს, ხელშეკრულება ხელშეკრულების ყოველ მონაწილე ქვეყანას ავალდებულებს, რომ იმ პირებს, რომლებიც ხელშეკრულების მონაწილე სხვა ქვეყნების მოქალაქეები არიან, გარკვეული შეზღუდვებისა და გამონაკლისების გათვალისწინებით, მისცეს შესაძლებლობა,

ისარგებლონ იმავე პირობებით, რომლითაც სარგებლობენ საკუთარი მოქალაქეები (ეროვნული რეჟიმი).

გარდა ამისა, ხელშეკრულება ითვალისწინებს შემსრულებელთა და ფონოგრამების მწარმოებელთა მიერ ერთიანი სათანადო ანაზღაურების უფლების გამოყენების შესაძლებლობას კომერციული მიზნით გამოქვეყნებული ფონოგრამების პირდაპირი ან ირიბი გამოყენებისათვის, ეთერში გადაცემის ან საჯაროდ გაცნობისათვის. თუმცა, ხელშეკრულების მონაწილე ნებისმიერ მხარეს შეუძლია შეზღუდოს ან დათქმის შემთხვევაში, სულაც გააუქმოს ეს უფლება. ამ შემთხვევაში სხვა დანარჩენ მხარეებს შეუძლიათ, უარი თქვან ეროვნული რეჟიმის გამოყენებაზე იმ სახელმწიფოს მიმართ, რომელმაც დათქმის საფუძველზე თავისი კანონმდებლობით არ გაითვალისწინა ზემოთ აღნიშნული უფლება (ნაცვალგება).

დაცვის ვადა შემსრულებლებისათვის უნდა შეადგენდეს მინიმუმ 50 წელს, რომლის ათვლაც იწყება იმ წლის ბოლოდან, როდესაც მოხდა შესრულების ფონოგრამაზე ჩაწერა.

ფონოგრამის მწარმოებლების უფლებების დაცვის ვადა უნდა შეადგენდეს არანაკლებ 50 წელს, რომლის ათვლაც იწყება იმ წლის ბოლოდან, როდესაც მოხდა ფონოგრამის გამოცემა, ხოლო თუ ფონოგრამის ჩაწერიდან 50 წლის განმავლობაში ასეთი გამოცემა არ მომხდარა – იმ წლის ბოლოდან, როდესაც მოხდა ფონოგრამის ჩაწერა.

ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებების გამოყენება და განხორციელება არ უნდა იყოს დამოკიდებული რაიმე ფორმალური მოთხოვნის შესრულებაზე.

ხელშეკრულება მონაწილე მხარეებს ავალდებულებს, ეროვნული კანონმდებლობით გაითვალისწინონ სანქციები იმ ტექნოლოგიური საშუალებების (მაგალითად დაშიფვრის) გვერდის ავლის წინააღმდეგ, რომელიც გამოიყენება შემსრულებლებისა და ფონოგრამის მწარმოებლების მიერ უფლებებით სარგებლობასთან დაკავშირებით,

და ისეთი ინფორმაციის გადაკეთების ან წაშლის საწინააღმდეგოდ, როგორცაა შემსრულებლისა და ფონოგრამის მწარმოებლის იდენტიფიცირების მონაცემები, რომლებიც საჭიროა მათი უფლებების (მაგ., ლიცენზირების, ჰონორარების ამოღების, და განაწილების) მართვისათვის (უფლებების მართვისათვის განკუთვნილი ინფორმაცია).

ხელშეკრულება თითოეულ მონაწილე მხარეს ავალდებულებს ისეთი სამართლებრივი ღონისძიებების გატარებას, რომელიც ხელშეკრულების ამოქმედებას უზრუნველყოფს. კერძოდ: მონაწილე მხარისათვის სავადებულოა, ეროვნული კანონმდებლობით გაითვალისწინოს უფლებების განხორციელების ეფექტური პროცედურები ხელშეკრულებით გათვალისწინებულ უფლებათა დარღვევის აღსაკვეთად. აღნიშნული პროცედურები უნდა შეიცავდეს სასწრაფო ღონისძიებების გატარების შესაძლებლობას დარღვევის აღსაკვეთად და ღონისძიებებს, რომლებიც შემდგომ დარღვევებს შეაჩერებს.

ხელშეკრულება აფუძნებს მონაწილე მხარეების ასამბლევას, რომლის მთავარი ამოცანაა ხელშეკრულების განხორციელებასა და განვითარებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა. ასამბლეა ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ ფუნქციებს ანდობს OSM(O)-ს სამდივნოს.

ხელშეკრულება ღიაა OSM(O)-ს და ევროგაერთიანების წევრი სახელმწიფოებისათვის. ხელშეკრულების ძალაში შესვლისთანავე ასამბლევას შეუძლია გადაწყვეტილების მიღება ხელშეკრულებაში გასაწევრიანებლად სხვა სამთავრობათაშორისო ორგანიზაციების მიღების თაობაზე.

რატიფიკაციის ან მიერთების სამართლებრივი აქტები დებონირებისათვის წარედგინება OSM(O)-ს გენერალურ დირექტორს.

ხელშეკრულება დაიდო 1996 წლის 20 დეკემბერს (სრული ტექსტი იხ. ვებგვერდზე: [www.wipo.int/treaties](http://www.wipo.int/treaties)).

2009 წლის 15 იანვრისათვის OSM(O)-ს ხელშეკრულება 68 მონაწილე მხარეს აერთიანებდა.

# ქენვის კონვენცია

## ფონოგრაფიის უნაპართვო გაპრაპლეზისაგან

### ფონოგრაფიის მნარომოპლეზის დასვის უსასეპ

#### (1971 წ.)

კონვენცია ხელშეკრულების მონაწილე ყოველ სახელმწიფოს ავალდებულებს დაიცვას ფონოგრამის ის მწარმოებელი, რომელიც ხელშეკრულების მონაწილე სხვა სახელმწიფოს მოქალაქეა, მისი თანხმობის გარეშე ფონოგრამის ასლის დამზადებისაგან, ასეთი ასლების იმპორტისაგან, თუ ეს იმპორტი ხორციელდება საჯარო გავრცელების მიზნით, და ამ ასლების საჯარო გავრცელებისაგან. “ფონოგრამა” გულისხმობს მხოლოდ და მხოლოდ ხმოვან ჩანაწერს (ის არ მოიცავს, მაგალითად, ფილმებისა და ვიდეოკასეტების ბგერითი თანხლების ბილიკს) ნებისმიერი ფორმით (დისკზე, ლენტაზე და სხვ.). დაცვა შეიძლება განხორციელდეს საავტორო უფლებების კანონის, *sui generis* (მომიჯნავე უფლებების) კანონის, არაკეთილსინდისიერი კონკურენციის კანონის ან სისხლის სამართლის კანონის ჩარჩოებში. დაცვის ხანგრძლივობა უნდა განისაზღვრებოდეს მინიმუმ 20 წლით ფონოგრამის პირველი ფიქსაციიდან ან პირველი გამოცემიდან (ეროვნული კანონები უფრო ხშირად 50 წელს ითვალისწინებს).

კონვენციის სამდივნოს ფუნქციას ასრულებს OSM(°)-ს სამდივნო.

კონვენცია არ ითვალისწინებს რაიმე გაერთიანების, მმართველი ორგანოს დაფუძნებას, ან ბიუჯეტის დაწესებას. კონვენცია ღიაა ყველა იმ სახელმწიფოსათვის, რომელიც გაერთიანებული ერების ან სხვა იმ სააგენტოების წევრია, რომლებიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციების სისტემას მიეკუთვნება.

რატიფიკაციის ან მიერთების სამართლებრივი აქტები დეპონირებისათვის წარედგინება გაერთიანებული ერების გენერალურ

მდივანს (სრული ტექსტი იხ. ვებგვერდზე: [www.wipo.int/treaties](http://www.wipo.int/treaties)).

2009 წლის 15 იანვრისათვის ჟენევის კონვენცია 76 წევრ სახელმწიფოს აერთიანებდა.

საქართველო კონვენციას მიუერთდა 2002 წლის 20 მაისს.

# ჩოქის კონვენცია

## შეხსრულებელთა, ფონოგრაფების მწარმოებელთა და სამაუწყებლო ორგანიზაციებთან უფლებების დაცვის შესახებ (1961 წ.)

კონვენცია უზრუნველყოფს შემსრულებელთა შესრულებების, ფონოგრამების მწარმოებელთა ფონოგრამებისა და სამაუწყებლო ორგანიზაციებთან გადაცემების დაცვას.

1) შემსრულებლები (მსახიობები, მომღერლები, მუსიკოსები, მოცეკვავეები და სხვა პირები, რომლებიც ლიტერატურულ ან ხელოვნების ნაწარმოებებს ასრულებენ) დაცულნი არიან მათი ნებართვის გარეშე ისეთი ქმედებებისაგან, როგორცაა: ცოცხალი შესრულების ეთერში გადაცემა და საჯარო გაცნობა, ცოცხალი შესრულების ჩაწერა, ასეთი ჩანაწერის რეპროდუცირება, თუ თავდაპირველი ჩაწერა მათი თანხმობის გარეშე განხორციელდა ან თუ რეპროდუცირება ხდება არა იმ მიზნით, რომელსაც თანხმობა ითვალისწინებდა.

2) ფონოგრამების მწარმოებლები სარგებლობენ მათი ფონოგრამების პირდაპირ ან ირიბ რეპროდუცირებაზე ნებართვის მიცემის ან მისი აკრძალვის უფლებით. რომის კონვენციის თანახმად, ფონოგრამაში იგულისხმება მხოლოდ და მხოლოდ შესრულების ბეგრების ან სხვა ბეგრების ხმოვანი ჩანაწერი. როდესაც ფონოგრამის კომერციული მიზნით გამოქვეყნება მეორად გამოყენებას იწვევს (მაგალითად, ეთერში გადაცემას ან ნებისმიერი ფორმით საჯაროდ ხელმისაწვდომად გახდომას), მოსარგებლის მიერ შემსრულებლების ან ფონოგრამების მწარმოებლებისათვის, ან ორივესათვის, ერთიანი სამართლიანი ანაზღაურება უნდა იქნეს გადახდილი. აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოებს შეუძლიათ არ გამოიყენონ ეს წესი, ან შეზღუდონ მისი გამოყენების ფარგლები.

3) სამაუწყებლო ორგანიზაციები სარგებლობენ გარკვეულ

ქმედებებზე ნებართვის მიცემის ან აკრძალვის უფლებით. კერძოდ, ეს ქმედებებია: მათი მაუწყებლობების ხელახალი გადაცემა, მათი მაუწყებლობის ჩაწერა, ასეთი ჩანაწერის რეპროდუცირება, მათი სატელევიზიო მაუწყებლობების საჯარო გადაცემა, თუ ასეთი გადაცემა ზორციელდება საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებზე, დასწრებისათვის საფასურის გადახდევინებით.

რომის კონვენციით, ეროვნულ კანონმდებლობებში დასაშვებია ზემოაღნიშნული უფლებებიდან გამონაკლისების გათვალისწინება, როდესაც საქმე ეხება პირად გამოყენებას, მოკლე ნაწყვეტების გამოყენებას მიმდინარე მოვლენების რეპორტაჟიდან, სამაუწყებლო ორგანიზაციის მიერ მოკლევადიან ჩაწერას საკუთარი საშუალებებით და საკუთარი მაუწყებლობებისათვის, მხოლოდ და მხოლოდ სასწავლო ან სამეცნიერო კვლევითი მიზნებით გამოყენებას და სხვა შემთხვევებს, გარდა იძულებითი ლიცენზირებისა, რაც შეუთავსებელია ბერნის კონვენციასთან, სადაც ლაპარაკია ეროვნული კანონმდებლობით გასათვალისწინებელ გამონაკლისებზე ლიტერატურულ და მხატვრულ ნაწარმოებებზე საავტორო უფლებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, როდესაც შემსრულებელი თანხმდება თავისი შესრულების ან წარმოდგენის ვიზუალურ ან აუდიოვიზუალურ ჩაწერაზე, შემსრულებელთა უფლებების შესახებ დებულებები აღარ მოქმედებს.

დაცვის ხანგრძლივობა უნდა განისაზღვროს მინიმუმ 20 წლით; დრო აითვლება იმ წლის ბოლოდან, რომელ წელსაც:

ა) განხორციელდა ჩაწერა – ფონოგრამებისა და მათში შეტანილი შესრულებებისათვის;

ბ) ადგილი ჰქონდა იმ შესრულებას ან წარმოდგენას, რომელიც არ იყო შეტანილი ფონოგრამებში;

გ) ადგილი ჰქონდა მაუწყებლობას – გადაცემებისათვის (თუმცა ეროვნული კანონები უფრო ხშირად დაცვის 50 წლიან ვადას ითვალისწინებს, ფონოგრამებისა და შესრულებებისათვის მანც).

რომის კონვენციის აღმინისტრირებაზე პასუხისმგებელია

ოსმ(ი), შრომის საერთაშორისო ორგანიზაციასა და იუნესკოსთან ერთად. სამივე ორგანიზაცია აყალიბებს სამთავრობათაშორისო კომიტეტის სამდივნოს, რომელიც ხელშეკრულების მონაწილე 12 სახელმწიფოს წარმომადგენლებისაგან შედგება.

კონვენციით არ არის გათვალისწინებული გაერთიანების ან ბიუჯეტის დაწესება. სამაგიეროდ იქმნება სამთავრობათაშორისო კომიტეტი, რომელიც შედგება ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოებისაგან და განკუთვნილია კონვენციასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხის განსახილველად<sup>8</sup>.

კონვენცია ღიაა ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების დაცვის შესახებ ბერნის კონვენციის (1886 წ.) ან უნივერსალური საავტორო უფლებების კონვენციის წევრი სახელმწიფოებისათვის.

რატიფიკაციის ან მიერთების სამართლებრივი აქტები დეპონირებისათვის წარედგინება გაერთიანებული ერების გენერალურ მდივანს.

სახელმწიფოებს ზოგიერთი დებულების მიმართ შეუძლიათ დათქმების გამოყენება (სრული ტექსტი იხ. ვებგვერდზე: [www.wipo.int/treaties](http://www.wipo.int/treaties)).

2009 წლის 15 იანვრისათვის რომის კონვენცია 87 წევრ სახელმწიფოს აერთიანებდა.

საქართველო კონვენციას მიუერთდა 2004 წლის 14 აგვისტოს.



